

ახალი ბენათლება


23 თებერვალი - 1 მარტი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№6 (760) გათვალისწინებულია 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

როგორც მკვლევარის ანგარიში



გავშვის უფლებები გამყოფ ხაზს იქით

ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ზოგადი შეფასებით, გავშვა უფლებების მხრივ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა ისეთივეა, როგორც დანარჩენ საქართველოში.

გარკვეულ შემთხვევებში უკეთესი მდგომარეობაც კი ფიქსირდება, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. მაგალითად, ამ რეგიონებში თითქმის არ არიან ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვები. აფხაზეთში არ არის დიდი ზომის ბავშვთა ზრუნვის ინსტიტუციები და დაობლებულ ბავშვებზე ზრუნვას, როგორც წესი, ახლო ნათესავები კისრულობენ.

გვერდი 6



პროფესია პედაგოგი

შეგხედეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ აღამიანებს

რუბრიკის „პროფესია პედაგოგი“ სტუმარია 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონის ინგლისური ენის მასწავლებელი გურანდა ჯამათაშვილი


გვერდი 4

წიგნის თარიღი

მასწავლებლის გიგლიოთაქა

პროფესიული უნარები

დახმარა სასაქონლო მართვაში და
უაღრესად მასწავლებლისთვის




პროფესიული უნარების

სახელმძღვანელო დაგეგმვაზე და მომუშაობაზე მომზადებით უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარი კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რეზიუმეები, კათოდრაზე მომუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ის, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რეზიუმის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი - 15 ლარი მიმდინარეობს ხელმოწერა



საგანმანათლებლო გამოფანა მრავალმხრივი ასპარეზი პროფესიის არჩევნისათვის

გვერდი 2




მრავალმხრივი ასპარეზი პროფესიის არჩევისათვის

ანა ფირცხალაშვილი

17-19 თებერვალს, ექსპოზიციის მე-11 პავილიონი საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენას დაეთმო. ბუნებრივია, დამთვალიერებელთა უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო. მომავალი აბიტურიენტები ინტერესით ეცნობოდნენ ქართული თუ უცხოური უმაღლესი სასწავლებლების შეთავაზებას, რომელთა წარმომადგენლები დაუზარებლად (ვინ იცის მერამდენედ) ყველგან საკუთარი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლის დაფინანსების პირობების, სტიპენდიებისა და გრანტების შესახებ, სთავაზობდნენ საინფორმაციო ბუკლეტებს. ზოგადად, მსგავს გამოფენებზე უნივერსიტეტები ცდილობენ, ის მიმართულებები წარმოაჩინონ, რაც ვიზუალურადაა შთაბეჭდილად და თანამედროვე. ასე მიგვიზიდა ერთ-ერთმა ბანერმა წარწერით „ელექტრონული და რობოტეკნიკის აკადემია“. როდესაც მათ მაგიდასთან შეჯგუფებული ახალგაზრდების რიცხვი შემცირდა, ერთ-ერთ მათგანს (სულ ორნი იყვნენ) გავესაუბრეთ. **სოსო მინდიაშვილი** სტუ-ს სტუდენტი ამოიჩინა, რომლის ბაზაზეც, უკვე 5 წელია, აკადემია ფუნქციონირებს. „ეს არის შესაძლებლობა ელექტრონიკით დაინტერესებული ადამიანებისთვის. ასეთები კი, ჩვენს ქალაქში საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. მეცადინეობები შაბათ-კვირას ტარდება, აქ მოსწავლეები საბაზისო ცოდნას იღრმავებენ ელექტრონიკაში, ვასწავლით ელექტროკომპონენტებს, სქემის აწყობას, მაღალკლასელებს – დაპროგრამებას. აქ ისეთ ცოდნას იღებენ, რასაც ნებისმიერი უნივერსიტეტის ელექტრონიკის მიმართულებაზე მიიღებდნენ I-II კურსზე, ხოლო თუ ამ მიმართულებაზე გააგრძელებენ უმაღლეს სასწავლებელში – მათ ეს პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევა უკვე ექნებათ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.“

რაც შეეხება ჩვენ, სტუდენტებს, ვინც ამ კონტინენტთან ვმუშაობთ, სპეციალურ მომზადებას გავდივართ, რომ ჩვენი მოვალეობა კარგად შევასრულოთ.“

კიდევ უფრო ახალია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი. აქ შექმნილ ინტერფეისს პროექტის მენეჯერი და უნივერსიტეტის ლექტორი **ზურაბ პერტია** წარმოადგენს. კომპანიის შესახებ ერთ სივრცეში თავმოყრილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (გაყიდვები, ადამიანური რესურსები და სხვ.) ტომპენეჯერებისთვის ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო საშუალებაა. ვიზუალურად ძალიან საინტერესოდ და შთაბეჭდილად გამოიყურებოდა პლანშეტი, რომლის შესახებაც ახალგაზრდა ლექტორი დანვრილედ





ბით ყვებოდა. ამიტომ ჩერდებოდა მის მაგიდასთან გამუდმებით სხვადასხვა თაობის ადამიანთა ჯგუფები.

ასევე ხალხმრავლობა იყო აგრარული უნივერსიტეტის ერთ-ერთი სექტორთან, ოღონდ, გამოკვეთილად, ახალგაზრდების, სადაც ათასგვარი სქემები და მოწყობილობები იყო გამოფენილი, წარმდგენლებიც ახალგაზრდები იყვნენ, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები. ერთ-ერთი მათგანი **მიქაელ გაგოშიძე**, რომელმაც გვითხრა: „ჩვენი უნივერსიტეტისთვის გამოფენაზე დათმობილი ფართიდან ეს მცირე მონაკვეთი ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის სტუდენტებმა დავიკავეთ. ჩვენს ფაკულტეტზე გავდივართ ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ საგანს, რომელსაც საკურსო პროექტს ვებახით – ყოველი სემესტრის ბოლოს, თითოეულმა სტუდენტმა კათედრას უნდა ჩააბაროს ერთი ნაკეთობა, დასრულებული პროექტი, თავისი აღწერილობით. აქ სწორედ, სამი წლის განმავლობაში (ახლა IV კურსზეა) შექმნილი საკურსო ნამუშევრები გამოვფინეთ, მე და ჩემმა მეგობრებმა: **ერეკლე ლეჟავა, დავით კორძაია, ბექა ყორყორიანი, ლევან მაკრახიძე, ერეკლე მატიაშვილი, ლევან ჯამაგიძე, ოთარ ჯავახიშვილი**.“

როგორც მიქაელმა თქვა, საკურსო პროექტების შექმნაში ბატონი **ალექსანდრე ანასოვი** ეხმარება. იგი სტუდენტების ლაბორატორიულ საქმიანობას ხელმძღვანელობს, ხოლო თავად მიმართულების ხელმძღვანელმა, ბატონმა **აკაკი ფალავამ** იქვე გაგვიზიარა საკუთარი მოსაზრება, თუ რატომ არის აუცილებელი სტუდენტებისთვის ამგვარი პრაქტიკული საქმიანობა. „განათლებისადმი მიდგომა ორგანოა – არის სწავლა და არის გაცნობიერება. საქართველოში, ძირითადად, უნივერსიტეტები პირველს ირჩევენ. ჩვენ, ისევე როგორც მსოფლიოს ნამყვანი უნივერსიტეტები, გაცნობიერების პრინციპის მიმდევრები ვართ, რადგან სწორედ ამის გამო არიან ისინი (და მათი კურსდამთავრებულები) წარმატებულები და, შესაბამისად, პრესტიჟულები. თუმცა, სწავლაც, ანუ თეორიული ნაწილი, აუცილებელია. თითოეული სტუდენტის პროექტს, სავალდებულოა, ახლდეს ვრცელი და დანერგვითი აღწერილობა, უბრალოდ აქცენტი აწყობაზე კეთდება.“

შედარებით მოკრძალებული ფართი ეჭირა გამოფენაზე ჯუნიორ ერივმენტს, რომელიც **G-PRIED**-თან ერთად ახორციელებს პროექტს დაწყებითი კლასებისთვის. ამჟამად მათ ახალი პროგრამები ჰქონდათ წარმოდგენილი, შესაბამისი თვალსაჩინოებით, რაც აუცილებლად დაინტერესებდა არამარტო პროექტში ჩართულ 62 სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგებს. განსაკუთრებულად თვალში საცემი იყო გამოფენაზე მხოლოდ 3 პროფესიული კოლეჯის მოწვევა („სპექტრი“, „იკაროსი“ და „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“) და მათთვის მხოლოდ ერთი მცირე სექტორის დათმობა, იმ ფონზე, როცა განათლების ეს სეგმენტი, მთავრობის მიერ, პრიორიტედადა დეკლარირებული, თუმცა, გამოფენის ინიციატორი და დამფინანსებელი ევროკავშირია და ამგვარ გადამწყვეტილებებსაც თავად იღებს.

კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მიღების მსურველთა რაოდენობა საგრძობლად, მცირე იყო, უნივერსიტეტებთან შედარებით. სიახლეებს, რომელიც ამ სფეროში იხერგება, მეტი აგიტაცია და მხარდაჭერა სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან, რომ თითოეულმა ახალგაზრდამ გაიცნობიეროს, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს მისი კარიერისთვის იმ საგანმანათლებლო პროგრამების დაუფლება, რასაც პროფესიული სასწავლებლები სთავაზობენ. შემთხვევით „სპექტრის“ ერთ-ერთ კურსდამთავრებულს შევხვდით, რომელიც, მსხვილ პარტნიორ ორგანიზაციაში – **GEO TURAN**-ში დასაქმდა და მისი ხელფასი 1000 ლარზე მეტს შე-



ადგენს. ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიგნოსტიკის შემკეთებლის პროფესიას **გიგა ჯანიაშვილი** 10 თვეში დაეუფლა და გამოფენაზე ჯეო ტურანის პროდუქციას წარმოადგენდა.

კოლეჯის პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი **თეა ლეჟავა** ამბობს, რომ, ბოლო ხანებში, პროფორინტაციის სანარმოებლად სკოლების კარი გაიღო და ყველა კოლეჯს შეუძლია, საკუთარი პროგრამები შესთავაზოს მაღალკლასელებს. ამ საშუალებას თავადაც იყენებენ როგორც სკოლებში, ისე სასწავლებლებში და პარტნიორ კომპანიებში, ბუნებრივია, გამოფენასაც ამ მიზნით გამოიყენებენ.

საკუთარი სასწავლებლის საზოგადოებისთვის წარმოჩენის კარგ შანსად მიაჩნია ამგვარი გამოფენა „სპექტრის“ დირექტორს, **მათე ტაკიძეს**. იგი გვაცნობს ახალ პროექტს – რობოტს, რომელიც ვიდეოთვალთ აღმოაჩენს მინისქვეშა კომუნიკაციებში არსებულ დაზიანებებს და ინფორმაციას აწვდის შესაბამის სამსახურებს. „ეს ტექნიკა დანერგულია აშშ-სა და ევროპულ ქვეყნებში. ჩვენ ამ პროგრამაზე, პირველ ნაკადს, წელს, შემოდგომაზე მივიღებთ“. როგორც საუბარში გაირკვა, აგვისტოში დამონტაჟდება 4 ლაბორატორია, მომზადდებიან პედაგოგები და დაიბეჭდება საჭირო ლიტერატურა. ამის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტი ის 2 მილიონ 170 000 აშშ დოლარია, რომელიც კოლეჯმა ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში მოიპოვა.

უთუოდ საინტერესო იქნებოდა დამთვალიერებლებისთვის „იკაროსისა“ და „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამებიც, განსაკუთრებით, მოდულური, რომელიც მაქსიმუმ 2.5 წელიწადში (საფეხურებისა და სპეციალობების მიხედვით, ვადები 13 თვიდან იწყება) კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების გარანტიას იძლევა. საყურადღებოა, აგრეთვე მოკლევადიანი სასერტიფიკაციო პროფესიული პროგრამები (1-დან 3 თვემდე) და შეთავაზებები არაქართულენოვანი მოქალაქეებისადმი.

ასე რომ, აკადემიური თუ პროფესიული განათლების მსურველთათვის, საერთაშორისო გამოფენა ნამდვილად არის ფართო და მრავალფეროვანი შეთავაზება არჩევანის გასაკეთებლად.



პროფესიული განათლება

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ფორუმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის რიგით მე-

მეცნიერების სამინისტრო, დამსაქმებელთა ასოციაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომ-

ნებათ, არის მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ნომერი ერთი პრიორიტეტი. პროფესიული განათლების რეფორმაში კერძო კოლეჯების როლი, ჩვენი ხედვით, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, ასევე მისი რაოდენობრივი ზრდის, ბიზნესთან ინტეგრაციისა და დასაქმების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამიტომ, ძალიან მოხარული ვართ, რომ ვმონაწილეობთ ამ ღონისძიებაში, რომელიც უკვე ტრადიციული ხასიათისაა და ვფიქრობთ, ეს ხელს შეუწყობს ჩვენს შემდგომ უკეთეს თანამშრომლობას კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და კონკრეტულად კერძო კოლეჯებთან, რაც გამოიწვევს მათი ბიზნესის განვითარებას, ჩვენთვის კი პროფესიული სასწავლებლების ხარისხის და რაოდენობრივ ზრდა-განვითარებას.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ პროფესიული განათლება ჩვენი განათლების რეფორმის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. თვითონ განათლების რეფორმა, მოგეხსენ-

მარიამ ჯაში, პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: „დღეს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ორი წლის მუშაობის ანგარიშს აჯამებენ, ასევე, მიმოიხილება ის გამოწვევები, რომელიც დგას პროფესიული განათლების სფეროს წინაშე, განსაკუთრებით კერძო კოლეჯებთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, რომ დაფინანსების სქემებში განსხვავებული მიდგომა საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ და ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომლის ნამოწვევაც მოხდება დღევანდელ შეხვედრაზე. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, განვიხილოთ ის შესაძლებლობები, რითაც შევძლებთ დახმარებას სამომავლო დაფინანსების სქემებით.

ჯანსაღი კონკურენციის შექმნა პროფესიული განათლების საკითხებში, საჯარო და კერძო სექტორს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და, რა თქმა უნდა, ეს იქნება საკითხი, რომელსაც როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობა და შესაძლო გადაჭრის გზები სჭირდება.“



კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე „ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“.

- 2. ავტორი – მოსწავლე/ეხმ/ის სახელი, გვარი;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა

კონკურსის მიზანი:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მეხსიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
• გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
• დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
• ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

- პირველი ტური
გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.
საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური
მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

- 1. ვორდის ფაილში დანერგულ საკონკურსო ნამუშევარს;
2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, JPG ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილ ასევე JPG ფორმატით;
4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).
სასურველია, ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.
სასურველია, მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
• ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
• ან მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

- 1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – თამაშის დასახელება;

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;
• სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);
• ნიმუშის ჩანერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მოთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;
• ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
• აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
• რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;
• რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);
• სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;
• რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.

• აღწერეთ თამაშის პროცესი
სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადა 2016 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
599 08 40 03; ან 577 27 80 02
aramaterialuri@yahoo.com

მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და სარუქვად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მონაწილე ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომავის“ ნოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

პროფესია პედაგოგი

შეგვხვდეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ აღამიანებს

„**მე ვარ გურანდა ჯამათაშვილი. დაბადებული ვარ უსინათლო. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, რომ ბავშვობაში, თამაშის დროს, ბავშვები სხვებისგან გამორჩეულად მიმტკინდნენ, მაგალითად, წყალს არ შემახსამდნენ, რაღაც ბავშვურ ხრიკებს ჩემ მიმართ არ ბააკითებდნენ. მე კი გული მტკიოდა მათი ამ სატყეველით. ასევე ძალიან მტკივნეული იყო ჩემთვის, როდესაც ტრანსპორტში ავტობუსით მიმომხდნენ თუნდაც ჩემზე ახალგაზრდაები. ეს ჩემთვის პატივისცემა არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სოციალური აღამიანი ვარ და მთელი ცხოვრება საზოგადოებაში აქტიურად ვტრიალებ, მაინც გამორჩეული ვიყავი და ვარ. ძალიან ცუდი მომენტია, როცა ხვდები, რომ არ ხარ მათნაირი და რაც არ უნდა ბააკითო და ბევრი მოინდომო, მაინც გამორჩეულად და განსხვავებულად რჩები.**“ – ასე იხსენებს ბავშვობას 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონის ინგლისური ენის მასწავლებელი გურანდა ჯამათაშვილი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი უსინათლო კანდიდატია, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. დღეს გურანდა ჩვანი რუბრიკის „პროფესია პედაგოგი“ სტუმარია.



და ყველა ბავშვისთვის მისი შექმნა ვერ მოხერხდა. თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს, მოიძიოს თანხები და ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ბრაილური.

– როგორია სკოლისადმი საზოგადოების დამოკიდებულება?

– ვფიქრობ, საზოგადოებასთან მუშაობის კუთხით, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი, რასაც მარტო ჩვენ ვერ შევძლებთ. ეს ყველაფერი ერთად უნდა გავაკეთოთ – სახელმწიფომ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ბუნებრივია – ჩვენ. სამწუხაროდ, დღესაც არიან მშობლები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ შვილის ფიზიკური ნაკლი ნიშნავს, რომ მას არ სჭირდება განათლება. სამწუხაროდ, სახელმწიფოში არ არსებობს სტატისტიკა, რომ ვიცოდეთ, არიან თუ არა ასეთი ბავშვები. ეს მონაცემები რომ გვექონდეს და ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყოს, მივაღებთ ოჯახებში, გავესაუბრებთ მშობლებს და ვთხოვთ, მოიყვანონ ბავშვები სკოლაში. მოგეხსენებათ, ჩვენ წლების განმავლობაში ვიყავით იზოლირებული. მართალია, არსებობდა სპეციალიზებული სკოლები (დასახლება ფონიჭალაში), სადაც სწავლობდნენ ბავშვები და საქმედებდნენ კიდევ, გავდიოდით ქალაქში, ვმორაობდით, მაგრამ მაინც იზოლირებული ვიყავით. ნელ-ნელა საზოგადოებამ დაიწყო ჩვენი მიღება. თუმცა, მაინც არის ორი მხარე – საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ საერთოდ არაფერი შეგვიძლია და თუ ადამიანს რაიმე ფიზიკური ნაკლი აქვს, აუცილებლად გონებრივი პრობლემაც აქვს; საზოგადოების მეორე ნაწილი, ვინც გაიაზრა, რომ ეს ასე არ არის, გადაჭარბებულ ემოციებს გამოხატავს ჩვენ მიმართ. შეგვხვდეთ ისე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს. რაღაც შეგვიძლია, რაღაც – არა. არც განსაკუთრებული ნიჭიერებით ვამოვირჩევით და არც უნიჭობით ვართ. ხშირად მეკითხებიან, შენი მოსწავლეები ცელქობენ? რა თქმა უნდა, ცელქობენ, ჩემი ბავშვები ზარმაცებიც არიან და ბევრთბიც, აბსოლუტურად ჩვეულებრივი ბავშვები არიან.

– როგორი ურთიერთობა გაქვთ მოსწავლეებთან, გაქვთ თუ არა განსხვავებული მიდგომები და მეთოდები მათთვის. დამეთანხმებით ალბათ, რომ მოსწავლეებმა მუშაობისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტებისა და შემოქმედებითი უნარის გამოჩენა, ამისთვის მხოლოდ პროფესიონალიზმი, საგნის ცოდნა საკმარისი არ არის. თქვენ რა ხერხს მიმართავთ?

– ვცდილობ, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, დავაინტერესო მოსწავლეები. თუ ვაკვეთილს მუდმივად სტანდარტული ფორმა ექნება, თავისთავად, ერთფეროვანი გამოვა და მათთვის მოსაბეზრებელი გახდება. ძალიან კარგად ვიყენებ ინტერენტრესურსს. განსაკუთრებით უყვართ ბავშვებს ინტერენტთან თანამშრომლობა. ისინი საკმაოდ კარგად ფლობენ კომპიუტერს. გვაქვს ხმოვანი პროგრამები, რაც გვიადვილებს კომპიუტერთან ურთიერთობას. მართალია, ყველა საიტი არ არის ადაპტირებული თუმცა, მეტნაკლებად, უფრო მეტად გვაქვს წვდომა, რაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ. ვცდილობ, მოსწავლეებს დავავალო პრეზენტაციების მომზადება, რომლისთვისაც მოიძიებენ ინფორმაციას და შემდეგ მომიყვებიან. ძალიან მოსწონთ, როცა რაღაცას თავად მაცნობენ, ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ინგლისურად აკეთებენ, რაც თავისთავად, ჩემთვისაც და მათთვისაც, მომგებიანია – ვეცნობთ ახალ ინფორმაციას, ვიმდირებთ ლექსიკას, ვხვდებით გრამატიკულ ფორმებს. მოკლედ, ყველაფერზე ერთდროულად ვმუშაობთ. ვითარდება ოთხივე უნარ-ჩვევა, რაც გასავითარებელია – უსმენენ, კითხულობენ, წერენ პრეზენტაციისთვის და შემდეგ მიყვებიან. კვირაში სამი გაკვეთილიდან ერთს პრეზენტაციას ვუთმობთ. ძალიან მოსწონთ კომპიუტერთი დავალბების შესრულება. ბრაილით უფრო არ მოსწონთ თემის ან ესეს დაწერა, ამიტომ მათ, ხშირად, მისი უფლებასაც ვაძლევ, ფეისბუქზე გადმოიგზავნონ მასალა გასასწავლებლად.

ჩვენს სკოლაში ისწავლება ყველა საგანი, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით, უბრალოდ მოდიფიცირებას ვახდენთ – დროში სხვანაირად გავწერთ, ექვნით ადაპტირებულად რესურსს, რათა მათთვის იოლად აღქმადი იყოს. გვყავს ბავშვები მრავლობითი დარღვევით, რომლებთანაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ვმუშაობთ, რომელსაც ეროვნულ სასწავლო გეგმას ვდაყრდნობთ ვადგენთ. ასეთი ბავშვები საკმაოდ ბევრი გვყავს. ვისაც მხოლოდ მხედველობის პრობლემა აქვს, ისინი ჩვეულებრივი სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობენ. დანებებით კლასებში დიდი ყურადღება ექცევა შეხების განვითარებას, რაც ნამყვან როლს ასრულებს უსინათლოთათვის რელიეფური შრიფტით (ბრაილის შრიფტით) წერა-კითხვის დაუფლების პროცესში. სკოლაში გვაქვს მხატვრული ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, ალჭურვილი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, აუდიოტექნიკით, რომლის საშუალებით შესაძლებელია გაკვეთილის მომზადება, მხატვრული ლიტერატურის გაცნობა.

– როგორ ვითარდებიან სკოლის დამთავრების შემდეგ უსინათლო ბავშვები, რა ვითარებაა ამ მხრივ უმაღლეს სასწავლებლებში?

– უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი ბავშვების ჩაბარების პრობლემა უკვე კარგა ხანია გადაიჭრა. პირველივე წელს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩვენითვის ძალიან ბევრი გააკეთა, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. ყველა საგნობრივი ჯგუფი მუშაობს იმისთვის, რომ უსინათლო ბავშვები სხვადასხვა აქტივობაში იყვნენ ჩართულები. გვაქვს

– ქალბატონო გურანდა, თავდაპირველად, მიინდა თქვენ შესახებ გვიამბოთ, როგორ გახსენდებათ მოსწავლეობის პერიოდი?

– დავიბადე თბილისში, 1973 წელს. დაბადებიდან უსინათლო ვარ. ჩემი პრობლემა გენეტიკურია, მამა (პროფესორი ისტორიკოსი, მღეროდა უსინათლოთა საზოგადოების კაპელაში) უსინათლო იყო. წლინახევრის ასაკში ორივე თვალზე აღმომჩინდა ეს დაავადება. 1979-91 წლებში ვსწავლობდი ამავე, 202-ე სკოლაში, მაშინ ერქვა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი. სკოლაში არ ვრჩებოდი, დედას ყოველდღე მიყავდა სახლში. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედამ ჩემს სკოლაში ღამის ძიძად დაიწყო მუშაობა და ყოველ მეორე ღამეს მეც მიხდებოდა სკოლაში დარჩენა, მეგობრებთან ერთად ყოფნა ძალიან მახარებდა. საკმაოდ კარგად ვსწავლობდი. ჩართული ვიყავი ყველა სასკოლო აქტივობაში, ვმღეროდი, სალამურს ვუკრავდი ხალხურ საკრავთა ორკესტრში და ყველა სასკოლო ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. შემდეგ ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე, ინგლისური ენის განხრით. ეს იყო 1992-97 წლები.

– რამდენი წელია, რაც პედაგოგიურ საქმიანობას ეწეებით?

– 2002 წლამდე არსად მიმუშავია. ამ წელს დავინიჭე 202-ე საჯარო სკოლა-პანსიონში მუშაობა, ინგლისური ენის წრის მასწავლებლად. 2008 წლიდან კი, ამავე სკოლაში, ინგლისურ ენას ვასწავლი და პედაგოგიურ საქმიანობას ვწვევი. შესაბამისად, კარგად ვიცნობ პრობლემებს, რომელიც უსინათლო ბავშვებს სწავლის პროცესში ექმნებათ. ამ სირთულეების გადაწყვეტის სურვილმა მიმიყვანა განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე. თემაზე მუშაობის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო სემინარებში, კონფერენციებსა თუ საჯარო შეხვედრებში. ვარ ინიციატორი უსინათლოთა განათლების საკითხებით დაინტერესებული ქართული თუ უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანთა ჯგუფების მოზიდვისა უნივერსიტეტში.

– როგორც ვიცით, მონეული ექსპერტების მონაწილეობითა და კონსულტირებით, თსუ-ს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში მზადდება მასწავლებელთა განათლების პროგრამა უსინათლო ბავშვების სწავლებისთვის. რას ითვალისწინებს ეს პროგრამა?

– პროგრამა ჯერ მზადების პროცესშია, მისი ხელმძღვანელი უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ქალბატონი ქეთევან ჭკუასელია. სადოქტორო პროგრამაზე მისი უდიდესი მხარდაჭერა მქონდა. რაც შეეხება პროგრამას, ჯერ ძალიან ბევრი რამ დასადგენი და გასარკვევია, ჩვენ ვთანამშრომლობდით გერმანელებთან და პოლონელებთან, მათი გამოცდილების გაზიარებით გვინდა მოვამზადოთ ეს პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნება უფრო სპეციალიზირებულ (სპეციალიზირებული) საშუალებების პროგრამა არის ილიაუნის, ოლონდ, ზოგადი უსინათლოების კუთხით, რათა გვყავდეს უფრო მეტად მომზადებული სპეციალიზირებული. გვინდა პროგრამაში უფრო ვრცლად ჩავდეთ მოდული უსინათლოების კუთხით.

– რა არის ის ძირითადი პრობლემები, რომელიც უსინათლო მოსწავლეებს სწავლის პროცესში ექმნებათ და რა იცით უცხოური გამოცდილების შესახებ?

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სწავლა-აღზრდა, რომლებიც მხედველობის ორგანოს დაზიანების გამო მიეკუთვნებიან უსინათლოთა კონტინენტს, საქართველოში არსებულ ერთადერთ სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარეობს. 202-ე საჯარო სკოლა ერთადერთი საგანმანათ-

ლებლო კერაა, რომელიც 100 წელზე მეტს ითვლის. პრობლემები ჩემი ბავშვობის პერიოდშიც იყო და ახლაც არის. ძირითადი ისაა, რომ სასწავლო რესურსიც და სწავლების მეთოდებიც აკლებულია ვიზუალურ მხარეზე. არა მხოლოდ ბავშვთა არაფორმალური განათლების კუთხითაც რომ შევხედოთ, თუნდაც მასწავლებლის ტრენინგზე, ყველაფერი ვიზუალურადაა გათვლილი – პოსტერები, სურათები, ილუსტრაციები, პროექტორზე ყველაფერი ნაჩვენებია. როდესაც ექსპერტი ტრენინგს, ვსწავლობ რაღაც ახალს, სულ მინეც ფიქრი იმაზე, თუ როგორ ვადმოვიტანო ვიზუალური მასალაზე, ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი რომ იყოს. უნდა ჩავერთოთ სმენა და შეხება, სხვადასხვა ბავშვი ვერ გაიგებს, რაც ძალიან დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ყველაფერი, რაც ვიზუალურად არსებობს, უსინათლო ბავშვებისთვის ადაპტირებული უნდა იყოს, რათა უკეთესად შეძლონ სწავლა.

უცხოეთში, ამ კუთხით, ყველანაირი რესურსი არსებობს. როცა ამ სკოლაში მოვედი, ბრაილის შრიფტით, ხელით ვწერდით სახელმძღვანელოებს, ჯერ ჩვენთვის და შემდეგ რამდენიმე ეგზემპლარს მოსწავლეებისთვის, რაც ძალზე პრობლემატიკური იყო და ძალიან დიდ დროს მოითხოვდა. მაშინ ბრაილის შრიფტით შედგენილი არანაირი სახელმძღვანელო არ გვექონდა. რამდენიმე წლის წინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ინიციატივით, შეიქმნა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები, რისთვისაც ძალიან მადლიერი ვარ. უცხო ენის შესწავლა მხოლოდ აუდიოჩანაწერით შეუძლებელი იყო. დღეისათვის, ინგლისურ ენაში ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყველა სახელმძღვანელო მაქვს. ეს პრობლემა მოგვარებულია, მაგრამ არსებობს სხვა პრობლემები – დამხმარე რესურსის არარსებობა. აუცილებელია ტაქტილური რუკები, გლობუსები, სხვადასხვა ტაქტილური მაკეტი, რათა ბავშვს წარმოადგინა შეუქმნადი იმ სამყაროზე, რომელშიც ცხოვრობს. მაგალითად, ჩვენთან მოდის 6 წლის ბავშვი, რომელმაც შეიძლება არ იცოდეს ელემენტარული რამ, რაც მის გარშემოა, იმიტომ რომ, მშობელი ვერ ხვდება, არ იცის, რომ ყველაფერი ხელით უნდა აჩვენოს. მაგალითად, კარტოფილი ბავშვმა შეიძლება აღიქვას მხოლოდ როგორც შემწვარი, ხელში რომ მისცეთ კარტოფილი, შეიძლება ვერ მიხვდეს რა არის. ევროპაში არსებობს ყველაფრის მაკეტი, რომელიც სპეციალური მასალით მზადდება. ჩვენთვის რბილი სათამაშოები აღსაქმელი არ არის, ჩემთვის ყველა ერთნაირია და ვერ შევძლებ მათ გარჩევას. რესურსი სპეციალური მასალით უნდა იყოს შექმნილი. ევროპაში, მუზეუმში რომ შეხვალთ, რასაც თქვენი თვალთ უყურებთ იქ, აუცილებლად მისი პატარა მაკეტი დევს უსინათლო დამთავრებულებისთვის. რადგან ორიგინალს ვერ შევხება, ამიტომ საშუალება აქვს მაკეტი ხელით მოსინჯოს, შეეხოს და მისი აღქმა შეძლოს, ნამუშევარს თან ახლავს აუდიოჩანაწერი – ნივთის აღწერილობა. მსგავსი რამ, საქართველოში, არ არსებობს. იმედი მაქვს, ადრე როგორც ბრაილის სახელმძღვანელოები იყო მიუწვდომელი და მათი დაბეჭდვა უიმიოდ ვგვერთა, მჯერა, რომ ასეთი მაკეტებიც ჩვენთვის, ასევე, ხელმისაწვდომი გახდება. თუმცა ეს ყველაფერი ძალიან ძვირადღირებულია.

სკოლაში გვაქვს ბრაილის დაფა და ფანქარი, რომელსაც ევროპაში აღარაინი ხმარობს. იქ იყენებენ ბრაილურებს (ბრაილის საბეჭდი მანქანა), რომლითაც შესაძლებელია ბრაილის შრიფტით ბეჭდვა. საბეჭდი მანქანას ექვსკლავიანი კლავიატურა აქვს, თითოეული ასოს დასაბეჭდად საჭიროა რამდენიმე ლილაკზე ერთდროულად დაჭერა, რაც უფრო მოხერხებულია. სამწუხაროდ, ბრაილურები ძალიან ძვირადღირებულია

პროფესია პედაგოგი

ბრაილის ტესტები ეროვნულ გამოცდებზე, ოლიმპიადებზე, მასწავლებელთა სერტიფიცირების გამოცდებზე, ასევე ბრაილის შრიფტითაა შედგენილი მოსამზადებელი კრებულები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ პრობლემას გვიგვარებს. იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც გვიან დაკარგეს მხედველობა და ბრაილის შრიფტის აღქმა უჭირთ (ასეთ ბავშვებს შეეხება ნაკლებად აქვთ განვითარებული და კითხვის პრობლემა აქვთ), ცენტრი გვთავაზობს ელექტრონულად ადაპტირებულ ტესტებს, რომელსაც კომპიუტერში უსმენენ.

უმაღლეს სასწავლებლებში ახალი სახელმძღვანელოების და ლიტერატურის (რაც ელექტრონულად მოიპოვება) პრობლემა მოგვარებულია, თუმცა სამწუხაროდ, არის ძალიან დიდი ლიტერატურა, რომელთანაც წვდომა ჯერ კიდევ არ გვაქვს, რადგან ბაზები სათანადოდ ადაპტირებული არ არის. პროგრამა ვერ კითხულობს, ვერ აღიქვამს დასკანირებულ ქართულ წიგნებს.

ბევრი წარმატებული მოსწავლე გვყავს, ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში. ისინი არა ერთხელ იყვნენ flex-ის პროგრამის გამარჯვებულები. ჩვენი სკოლის სპეცპედაგოგი მარიამ მიქიაშვილი ნორვეგიაში, ოსლოს უნივერსიტეტში სწავლობდა.

– მასწავლებლის პროფესია მუდმივ პროფესიულ განვითარებას, მასწავლებლის სერტიფიკატის რეგულარულ განახლებასა და ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნას მოითხოვს. რამდენად ახერხებთ პროფესიულ განვითარებას?

– მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალ სტეპს ელექტრონული ვერსიით გავცეცანი. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში აქტიურად ვარ ჩართული. რა თქმა უნდა, მასწავლებელთა ტრენინგა, სერტიფიცირება, ახალი უნარების დაუფლება და ა.შ. ნამდვილად საჭიროა თანამედროვე პედაგოგის განვითარებისთვის. მივესალმები ყოველი სიახლის წამოწყებას.

ჩემი ერთადერთი თხოვნაა, ტრენინგებზე დავალების სახით მოწოდებული მასალა ბრაილის შრიფტით იყოს ნაბეჭდი, რადგან ტრენინგებზე, რომელსაც მასწავლებელთა სახლი პედაგოგებისთვის ატარებს, გვხვდება ჩამოსარიგებული მასალა, რომელსაც ვერაფერში ვიყენებ. მართალია, გასაცნობად მიგზავნიან ელექტრონულ საკითხავ მასალას,

მაგრამ ტრენინგის პროცესში, ხელთ არ მაქვს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალა, რაც თავისთავად პრობლემას მიქმნის. ამის საშუალება რომ მქონდეს, მეც აქტიურად ჩავერთებოდი ტრენინგის მსვლელობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ გვერდით ყოველთვის არის უცნობი ადამიანი, რომელიც მიკითხავს და მაცნობს მასალის შინაარსს, რომელსაც ტრენინგებზე დავალების სახით გვაძლევან, მაინც ძალიან უხერხულად გვგრძნობ თავს, რაც ჩემთვის არაკომფორტულია.

– რამდენად ადაპტირებულია ქალაქის ქუჩები უსინათლო-თათვის?

– ამ მხრივ, უამრავი პრობლემაა. ინფრასტრუქტურის მხრივ, პრობლემა იქმნება სკოლაშიც ეტლით მოსარგებლე უსინათლო ბავშვებისთვის, ჩვენი სკოლის შენობა ასეთი ბავშვებისთვის არ არის ადაპტირებული. არ ხერხდება პანდუსების გაკეთება. თბილისის ქუჩებში სერიოზული პრობლემაა ინფრასტრუქტურის მხრივ. ქუჩაში რომ მარტომ ვიარო, ეს შეუძლებელია. ქალაქში არ არსებობს არანაირი დაცვის მექანიზმი. ჩვენ გვყავს რამდენიმე მობილობის ტრენერი, რომლებიც გერმანელებმა გადაამზადეს, მათ იციან, როგორ გვასწავლონ ქუჩაში მოძრაობა, როგორ გამოვიყენოთ თეთრი ხელჯოხი. ყველაფერ ამას მოსწავლეებს სკოლაში უკვე თავიდანვე ასწავლიან, მაგრამ ჩემთვის ძალიან რთულია, მე არ ვარ თეთრი ხელჯოხის გამოყენებას მიჩვეული, მაქვს კომპლექსები, მიჭირს დამოუკიდებლად ქუჩაში მარტო გადაადგილება, რადგან ეს დიდ რისკთანაა დაკავშირებული. დღეს რომ ვიცი, საცხოვრებელთან ახლოს ეს ჩემი ქუჩაა, ჩემი უბანი და ვიცი, რომ არაფერი ხდება, გზა თავისუფალია, ხვალ შეიძლება თხრილი ჩავევარდ ან მანქანა დამხვდეს ისე გაჩერებული, რომ ვერ შევძლო გვერდის ავლა და სერიოზული პრობლემა შემექმნას. არაფერს ვამბობ მოუწესრიგებულ შეუქნისაზე, სადაც არ არსებობს სპეციალური ხმოვანი სიგნალები, უსინათლოთათვის და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის სახიფათოა, სერიოზული პრობლემაა მეტროსადგურები და მათთან მიახლოება.

პროფესიულ სასწავლებლებში ჩართული უსინათლო მოსწავლეებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებს მობილობის ტრენერებს, რომლებმაც, სამი თვის განმავლობაში, უნდა ასწავლონ სტუდენტებს, როგორ მივიდნენ სახლიდან კოლეჯამდე დამოუკიდებლად. ზოგადად, ქა-

ლაქის ქუჩებში არსებული პრობლემები იმდენად მრავლობითია, დამოუკიდებლად გადაადგილება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

– როგორ აფასებთ ახალ თაობას?

– არ მიყვარს, როცა ახლანდელი თაობის მიმართ მუდმივად საყვედურს გამოთქვამენ. ჩემი მოსწავლეებისგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. ახალი თაობა, ჩვენგან განსხვავებით, დამოუკიდებელია, რაც ძალიან მომწონს. ჩვენი თაობა მეტად იყო უფროსებზე დამოკიდებული. ხშირად მესმის საზოგადოებრივ ტრანსპორტში ახალგაზრდების ლანძღვა, რომ უნიგნურები და უზრდელები არიან... არა, მე ასე არ ვფიქრობ, ჩვენ გვყავს ძალიან განათლებული, ნიგნიერი, დამოუკიდებელი, მიზანდასახული თაობა.

– როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

– თავისუფალ დროს წიგნის კითხვა მიყვარს. მიყვარს, ასევე, ჩემს მეგობრებთან ურთიერთობა, მათთან საუბარი. მყავს არაჩვეულებრივი სამეგობრო. უნივერსიტეტში როცა ვსწავლობდი, სწორედ ჩემი მეგობრების დახმარებით, გვერდში დგომით შევძელი უნივერსიტეტის დამთავრება. ეს იყო ყველაზე ურთულესი 90-იანი წლები. ისინი მოდიოდნენ ჩემთან, ერთად ვიკრიბებოდით და მივდიოდით უნივერსიტეტის მესხეთე კორპუსში. არასოდეს მიგრძენია, რომ მარტო ჩემს ნასაყვანად მოდიოდნენ. მაშინ არ გვექონდა არც კომპიუტერი, არც ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები, ამიტომ, ჩვენ ყოველთვის ერთად ვმეცადინებოდით, ერთად ვემზადებოდით გამოცდებისთვის. ყოველთვის მენატრება ჩემი მეგობრები. მათთან გატარებული ყოველი დღე და ყოველი წუთი უძვირფასესია ჩემთვის.

– მასწავლებელი რომ არ გამოსულიყავით, რა პროფესიას აირჩევდით?

– არასოდეს მიფიქრია პედაგოგის პროფესიაზე, ინგლისური ენა ძალიან მიყვარდა, მომწონდა მისი ჟღერადობა. ამიტომ, მინდოდა თარჯიმანი ვყოფილიყავი, მაგრამ ვერ გავბედე სინქრონი თარჯიმან. მაშინ არ იყო გარემო და საზოგადოება მზად იმისთვის, რომ მე, უსინათლოს, სინქრონი თარჯიმანი მომეხერხებია. ამ პერიოდში რომ დამემთავრებინა უნივერსიტეტი, აუცილებლად თარჯიმანი გავხდებოდი, მაგრამ რას ვიზამთ, ოცნება ყოველთვის არ ხდება.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

გამოსდილავა

მეტყველების განვითარება უსხოური ენის გაკვეთილებზე

უცხოური ენის გაკვეთილებზე ყველა აქტივობა ერთ მიზანს ემსახურება – ვასწავლოთ მოსწავლეებს უცხოურ ენაზე მეტყველება. ეს ადვილი საქმე როდია. მოსწავლეები განსხვავებულ გრამატიკულ სტრუქტურას ხვდებიან, სრულიად განსხვავებულია ლექსიკური ფონი. წარმოიქმნება სიძნელეები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესს ახალი საგნისადმი ამცირებს, მათ ხომ სიძნელეთა დასაძლევად ძალისხმევა, სიბეჯითე და სისტემატური შრომა სჭირდებათ, რაც ხშირად ეზარებათ.

პედაგოგიურმა გამოცდილებამ დამანახა, რომ გონივრულად დაგეგმილმა აქტივობებმა შესაძლოა გააძლიეროს საგნისადმი ინტერესი, აამაღლოს მოსწავლეებში მოტივაციის დონე და საგნის სიყვარული.

გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, რაც ეფექტიანი შედეგის მიღწევაში მესმარება: ყოველ გაკვეთილს ვიწყებ საორგანიზაციო მომენტით, კალენდარული შეკითხვებით, ამინდის პროგნოზით. მაგალითად, ვინ არ ესწრება გაკვეთილს? რატომ აცდენთ აღნიშნული მოსწავლე? დღეს რა რიცხვია? წელიწადი რა დროა? როგორი ამინდია? და ა.შ. ამ გზით აღნიშნული თემატიკა ყველა მოსწავლისთვის გასაგები და ადვილად ასათვისებელი ხდება.

მეტყველების განვითარებაში საკმაოდ მესმარება სიუჟეტური სურათების გამოყენება („შემოდგომა“, „გაზაფხული“, „ზამთარი“, „ოჯახი“, „ჩემი სკოლა“, „აფეთიანი“ და ა.შ.). ვცდილობ, სურათი გაკვეთილის თემას მივუსადაგო. მაგალითად, პროექტორით ვაჩვენებ სიუჟეტურ სურათს „შემოდგომა“ – აღნიშნული თემის გავლისას კლასს ვუსვამ შეკითხვებს: წელიწადის რა დროა სურათზე? რატომ ფიქრობ, რომ შემოდგომაა? ვინ არიან სურათზე? რას აკეთებენ ბავშვები? სად აწყობენ მოკრეფილ ხილს? რა ფერებია?

მომდევნო გაკვეთილებზე, ბავშვები ერთმეორეს ანალოგიურ შეკითხვებს უსვამენ და ინაფავენ ენას. განსაკუთრებით კარგ შედეგზე გავდივარ, როცა ვიყენებ ცოცხალ თვალსაჩინოებას. მაგალითად, თემის „ადამიანის სხეულის ნაწილები“ გავლისას, გამოიყავს ერთ-ერთი მოსწავლე და ვუთითებ კლასს, დაასახელონ სხეულის ნაწილები, რომლებიც უკვე იციან რუსულად, რომლებიც არ იციან, ვუბნები ქართულად და ვუსხნი რუსულად. შემდეგ, კლასთან ერთად, ვიმეორებთ ახალ ლექსიკას, ვუთითებ სხეულის ამა თუ იმ ნაწილზე. მომდევნო გაკვეთილებზე მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს სხეულის ნაწილების შესახებ.

ცოცხალი თვალსაჩინოება მესმარება ასევე თემის „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“ შესწავლისას. მოსწავლეებს ვთხოვ, აღწერონ ერთმანეთის ჩაცმულობა, მიაქციონ ყურადღება ფერებს, აგრეთვე მშობლიური ენისგან

განსხვავებულ გრამატიკულ ფორმას – სქესის კატეგორიას, მაგალითად, როგორ ვიტყვით მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელადებებს – „მას აცვია“.

საკვანძო სიტყვებით წინადადებების შედგენა მესმარება მოსწავლეებში არამშობლიურ ენაზე აზროვნების განვითარებაში. მაგალითად, თემის – „ტრანსპორტი“ – შესწავლისას ვაცნობ მოსწავლეებს სხვადასხვა სახის ტრანსპორტს და მოძრაობის აღნიშვნულ ზმნებს (მივმგზავრები, მივფრინავ, დავრბივარ და ა.შ.). ახალი ლექსიკის დაუფლების შემდეგ, ვანვიდ საკვანძო სიტყვებს და ვთხოვ წინადადების შედგენას. მაგალითად: *მე, ფრენა, თვითმფრინავი, მოსკოვი, გემი, ცურვა, ხვალ, სტამბოლი, დილით*. მინიშნებით სიტყვებით მოსწავლეები ადგენენ წინადადებებს, რაც მათ არამშობლიურ ენაზე აზროვნებაში ეხმარება: *თვითმფრინავით მე მივფრინავ მოსკოვში. ხვალ დილით გემით მივცურავ სტამბოლში.*

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უფრო საინტერესოს და შინაარსიანს ხდის გაკვეთილს. ხშირად ვთხოვ მოსწავლეებს, მოიძიონ მასალა ინტერნეტში, მაგალითად, თემების: „მოსკოვი“, „კიევი“, „პარიზი“, „პეტრე პირველი“ შესწავლისას. მომდევნო გაკვეთილებზე ვახდენთ მოძიებული მასალის განხილვას. მოსწავლეები ფიქრობენ, მსჯელობენ, ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს, საუბრობენ მოძიებული ინფორმაციების შესახებ. ყოველივე ეს კი გაკვეთილს უფრო სახალისოს და შედეგიანს ხდის.

უფროს კლასებში, გაკვეთილებზე, ხშირად გვაქვს საინფორმაციო წუთები, რომლის დროსაც, მოსწავლეებთან ერთად, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს განვიხილავთ, ისინი მსჯელობენ ამა თუ იმ ფაქტის შესახებ და საკუთარ აზრს გამოთქვამენ.

რეალურთან მიახლოებული გარემო განსაკუთრებით ეფექტიანია ენის შესწავლის პროცესში. ამიტომ, V-VI კლასების მოსწავლეებთან, არასაგაკვეთილო პროცესში, ხშირად ვატარებ თამაშობებს ღია სივრცეში, ვაცნობთ თამაშის წესებს და საჭირო ლექსიკას რუსულად. ბავშვები ხალისით იმეორებენ და იმახსოვრებენ გამოყენებულ სიტყვებს. ვამჩნევ, რომ სიყვარული ენის შესწავლისადმი იზრდება და ინტერესი მატულობს.

დაბოლოს, მე, როგორც რუსული ენის პედაგოგს, მიმაჩნია, რომ დღევანდელმა პოლიტიკურმა გარემომ ხელი არ უნდა შეუშალოს ხალხთა შორის მეგობრობას; სიყვარულით ვასწავლოთ მომავალ თაობას დიდი პუშკინისა და ლერმონტოვის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის ენა.

მარინე გოგოლაშვილი
საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელის საჯარო სკოლის რუსული ენის უფროსი მასწავლებელი

ინფორმაცია

ორი ქართული სამეცნიერო ჟურნალი „ელსევიერის“ ბაზაში

მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამეცნიერო ელექტრონული გამოცემლობის – „ელსევიერის“ ბაზაში ორი ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალი – „ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ნაშრომები“ და საქართველოს „აგარაული უნივერსიტეტის“ „აგარაული მეცნიერებათა მემატიანე“ განთავსდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მეცნიერების ნაშრომები უმსხვილეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში ხვდება.

„ელსევიერის“ წარმომადგენლობამ, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით, ელექტრონულ პლატფორმაზე განსათავსებლად, ზემოაღნიშნული ჟურნალები მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სტანდარტების შესაბამისად შეარჩია.

რუსთაველის ფონდის კომპანია „ელსევიერთან“ წარმატებული პარტნიორობის შედეგად, საქართველოს მეცნიერებს „ელსევიერის“ უმსხვილესი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზით უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. მეცნიერებისთვის ელექტრონულად ხელმისაწვდომია მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა არა მხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც. გარდა ამისა, შესაძლებელია ციტირებისა და სხვა ბიბლიომეტრული ინფორმაციის მოპოვება. შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ასევე მიიღო წვდომა (SciVal Funding TM) მეცნიერთა და სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისა და რეცენზენტთა საძიებო ბაზებზე.

გამარჯვებულები ბარსელონაში გაემგზავრებიან

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილიაუნის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიასთან (FabLab Iliuni) ერთად, გლობალური მენარმეობის კვირეულის ფარგლებში, მეიქათონი – „შენი სტარტაპიდეა რეალობაში“ განახორციელა.

პროექტში მონაწილე გუნდები ერთმანეთს ინოვაციური და უნიკალური იდეების შეზღუდულ დროში შექმნაში შეეჯიბნენ, შემდეგ კი, ილიაუნის ფაბლაბში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების მენტორობით, იდეის პირველადი პროტოტიპები შექმნეს.

ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსის გამარჯვებული პროექტი გახდა ხელთათმანი, რომელიც ცაციენტს ინსულტის შემდეგ რეაბილიტაციაში ეხმარება. პროექტის ავტორები არიან თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ცხოვრებაძე და მასაჩუსეტის ტექნოლოგიების ინსტიტუტის სტუდენტი დიმიტრი ცხოვრებაძე. გამარჯვებულები ბარსელონაში (ესპანეთი) მობილური ტექნოლოგიების მსოფლიო კონგრესზე გაემგზავრებიან.

ოჯახის ანგარიში

ბავშვის უფლებები გაყოფ ხაზს იქით

საქართველოს სახალხო დამცველმა, 10 თებერვალს, ჟურნალისტებისთვის ანგარიში წარადგინა, რომელშიც 2014-2016 წლების მიხედვით, მიმოხილულია კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და სამხრეთლოში - ქალთა და ბავშვთა უფლებრივი, მდგომარეობა. მართლაც საინტერესოა, როგორაა დაცული მათი უფლებები, ვინაიდან კონფლიქტები განსაკუთრებით მძიმე გავლენას სწორედ ქალთა და ბავშვთა მდგომარეობაზე ახდენს - იცვლება ქალთა სოციალურ-ეკონომიკური როლი, რის გამოც ისინი მომეტებული საფრთხის რისკის ქვეშ არიან, კონფლიქტის ტრავმა და მძიმე სოციალური პირობები პირდაპირ აისახება ოჯახში ძალადობაზე, რომლის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად ქალები და ბავშვები არიან; პოსტ-კონფლიქტურ გარემოში კი ძალადობისგან დაცვის მექანიზმები ძალიან სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზეთში 25 წლის წინ დასრულდა, ხოლო სამხრეთ ოსეთში - 8 წლის წინ, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით უამრავი სერიოზული გამოწვევაა. ვითარებას ისიც ართულებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლებები ექმნება ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს კი მინიმალური რესურსით უწევთ მუშაობა და ისინი, ძირითადად, ცნობიერების ამაღლების, სამართლებრივი კონსულტაციისა და ჯანდაცვის კუთხით მუშაობენ.

აღმოჩნდა, რომ ქალთა და ბავშვთა უფლებებზე, შედარებით, აქტიურად აფხაზეთში მუშაობენ და გარკვეულ პოზიტიურ ცვლილებებსაც მიაღწიეს. მაგალითად, ჯერ კიდევ 2008 წელს, სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით, აფხაზეთში მიიღეს კანონი ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ. მართალია, კანონის რეალურად განხორციელებისთვის საკმარისი მექანიზმები არ შექმნილა, თუმცა მისი არსებობა უკვე პრობლემის აღიარებას ნიშნავს. რამდენიმე ადგილობრივ ორგანიზაცია ბავშვთა უფლებების დაცვისა და არაფორმალური განათლების მიმართულებითაც მუშაობს. ეს უფრო ზედაპირული ინფორმაციაა, რადგანაც კონფლიქტურ რეგიონებში ქალთა და ბავშვთა უფლებების სისტემატური მონიტორინგი და კვლევები არ ხორციელდება და, აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით, არ გვაქვს სტატისტიკური ან სხვა სახის მონაცემები, რომლებიც გარკვეულ სურათს შექმნიდა ტენდენციებსა თუ საჭიროებების შესახებ.

შესაბამისად, ანგარიშის მომზადებისას, როგორც სახალხო დამცველის აპარატში განაცხადეს, ისინი სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგნენ, რადგანაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომბუდსმენს წარმომადგენლობა არ აქვს. ამიტომაც, ანგარიში ამომწურავად ვერ ასახავს ყველა პრობლემას, რომელსაც შესაძლოა აწყდებოდნენ ბავშვები და ქალები აფხაზეთსა და სამხრეთლოში. ანგარიში, ძირითადად, ეყრდნობა აპარატში შემოსულ განცხადებებს, საკონტაქტო პირებისა თუ ადგილობრივი პარტნიორებისგან მოწოდებულ ინფორმაციას და ღია წყაროებს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ზოგადი შეფასებით, ბავშვთა უფლებების მხრივ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა ისეთივეა, როგორც დანარჩენ საქართველოში. ზოგადი

პრობლემები მოიცავს ბავშვთა სიღარიბეს, ბავშვთა მიმართ ძალადობას, სკოლამდელი განათლების და შშმ ბავშვთა სპეციალური მოვლის დაწესებულებების არასაკმარის რაოდენობას, ფინანსური სახსრების არარსებობას და ა.შ. „უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკეთესი მდგომარეობა ფიქსირდება, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. მაგალითად, ამ რეგიონებში თითქმის არ არიან ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვები. აფხაზეთში არ არის დიდი ზომის ბავშვთა ზრუნვის ინსტიტუციები და დაობლებულ ბავშვებზე ზრუნვას, როგორც წესი, ახლო ნათესავები კისრულობენ“ - ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

ბავშვთა სიღარიბე - ყურადღება გვაქვს მივუბრუნოთ უფლებებსა და მათი დარღვევის გამოვლენილ ფაქტებზე, რომელიც ანგარიშშია მოცემული. ამ კუთხით რეგიონებს შორის განსხვავებაა. თუმცა უმუშევრობა, ცხოვრების დაბალი დონე და სიღარიბე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თანაბრად გავრცელებული პრობლემაა, რაც პირდაპირ აისახება ბავშვთა მდგომარეობაზეც. მართალია, იქ მცხოვრები ბავშვების სიღარიბის კონკრეტული მაჩვენებლები არ არსებობს, მაგრამ სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეებიდან (გალის რაიონის მკვიდრი ოჯახები) დგინდება, რომ უღარიბესი ბავშვები არიან მრავალშვილიანი ოჯახებიდან, ცხოვრობენ არასათანადო პირობებში, ოჯახის წევრებს არ აქვთ მონესრიგებული დოკუმენტაცია და მოკლებული არიან ჯანდაცვისა და განათლების მიღების უფლებას.

გალის რაიონში მომუშავე ექიმების განცხადებით, არც თუ იშვიათია რაქიტისა და კანის დაავადებების შემთხვევები ბავშვებში, რასაც, პირველ რიგში, არარაციონალურ კვებას, მედიკამენტების ნაკლებობასა და არასათანადო საცხოვრებელ პირობებს უკავშირებენ. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, ყველაზე რთული მდგომარეობა ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებშია, სიღარიბის და მიტოვებულობის სუბიექტური აღქმაც სწორედ ამ რაიონებშია უფრო მეტად გავრცელებული. საქართველოს დანარჩენი მოქალაქეებისაგან განსხვავებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები არ არიან ჩართული საქართველოს მოქალაქეებისთვის განკუთვნილ სოციალურ პროგრამებში, იმ მიზეზით, რომ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო ვერ ახერხებს ადგილზე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახებს მონესრიგებული არ აქვთ დოკუმენტაცია და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ვერ გადმოდიან, მათ ასევე არ აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი და შესაბამისი ფულადი დახმარება.

2014 წელს, დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონში გაცემული ე.წ. აფხაზური პასპორტების ანულირება მოახდინა. მისი გადაწყვეტილებით, მოსახლეობა, რომელიც განაცხადებს, რომ ფლობს საქართველოს მოქალაქეობას, მიიღებს ბინადრობის ნებართვას. ამ დრომდე, ბინადრობის მოწოდების გაცემა არ დაწყებულია, ვისაც აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება სურს, უნდა წარადგინოს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2016 წელს, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს კვლავ ფორმა №9 დაუბრუნდა გამოყოფი ხაზის გადასაკვეთად.

კონფლიქტურ ზონაში ხშირია დოკუმენტაციისა და მას-

თან დაკავშირებული უფლებების დარღვევები - ბავშვზე, რომლის თუნდაც ერთ მშობელს არ აქვს აფხაზური პასპორტი, არ გაიცემა დაბადების მოწმობა და შესაბამისად, არც პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. დოკუმენტების არქონის გამო კი, ადგილობრივი ვერ ახერხებენ გამყოფ ხაზზე გადმოსვლას და საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღებას, ამიტომ მათ არ გააჩნიათ საჭირო საბუთები თავიანთი უფლებების რეალიზებისთვის, როგორცაა: გადაადგილების თავისუფლება, საკუთრების უფლება, განათლების, ჯანმრთელობის და სხვ.

ბავშვთა უსაფრთხოების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის საკითხების შესახებ ანგარიშში წერია, რომ „სახალხო დამცველისათვის უფრო და უფრო მეტი შემთხვევის შესახებ ხდება ცნობილი, როდესაც რუსულ სამხედრო ბაზებზე ბავშვების დაკავების დროს არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის, მათ შორის, სიტყვიერი შეურაცხყოფის, საკვებისა და სასმელის ნების შეზღუდვის და ა.შ. ფაქტებს აქვს ადგილი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გალის რაიონის მკვიდრთა დაკავების დროს“. ბავშვთა დაკავების მთავარი მოტივი აფხაზეთში შესაბამისი დოკუმენტების არქონაა (აფხაზური პასპორტი, ფორმა №9). 14 წლამდე ბავშვებზე ფორმა №9 და პასპორტი არ გაიცემა, მათი მიწერა მშობლის აფხაზურ პასპორტში ხდება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე დაკავებულ არასრულწლოვნებს, როგორც წესი, ისინი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მაცხოვრებლები არიან და მათ თავიანთი სოფლების განაპირა, ბაღებში თუ საძოვრებზე აკავებენ რუსი მესაზღვრეები.

მშობლიურ ენაზე განათლების უფლება და ხარისხიანი განათლების პრობლემა - ეს ერთ-ერთი გამოკვეთილი პრობლემაა, რომელიც კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ბავშვებს ექმნებათ. მშობლიურ ენაზე განათლების უფლებისა და მისი ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გავლის რაიონში დგას. 2015-2016 სასწავლო წელს კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა ქართულ ენაზე სასკოლო განათლების მიღების კუთხით. 1995 წლიდან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ შეიმუშავა განათლების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ქართულენოვანი სკოლების რუსულ ენაზე გადასვლას. ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდა: ტყვარჩელს და ოჩამჩირეს მიკუთვნებულ სკოლებში თერთმეტივე კლასი ერთდროულად გადავიდა რუსულ ენაზე; გალის „ზედა ზონებში“ შემოიღეს რუსული სწავლება „პირველი კლასის პრინციპით“, რაც ნიშნავდა, რომ ყველა პირველი კლასი რუსულ ენაზე დაიწყებდა სასწავლო პროცესს. შესაბამისად, 2005 წლიდან დღემდე, გალის „ზედა ზონის“ ყველა კლასში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს. რაც შეეხება გალის რაიონის „ქვედა ზონის“ სოფლებს, თუ აქამდე ისინი ინარჩუნებდნენ ქართულ ენაზე სწავლებას, 2015-2016 სასწავლო წლიდან შემოიღეს რუსულ ენაზე სწავლება, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით და ყოველი მომდევნო პირველი კლასი, ასევე, რუსულ ენაზე დაიწყებს სწავლას. ამ პროცესს, თავისთავად, მოჰყვა მოსახლეობის მხრიდან საცხოვრებელი ადგილის იძულებითი დატოვება და სახალხო დამცველის ინფორმაციით, საბოლოოდ, 6 წელიწადში, გალის რაიონის სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე გადასვლის გამო, არაერთმა ოჯახმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი და ბავშვები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოიყვანა, რომ მშობლიურ ენაზე გაეგრძელებინათ სწავლა. 2015 წლის სექტემბერ-დეკემბერში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისიამ, მშობელთა განცხადების საფუძველზე, იმ 54 მოსწავლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლება აღიარა, რომელთაც სწავლის გაგრძელება ენურს გამოლმა აღიარა. სახალხო დამცველისათვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში, რამდენიმე მშობელი განაცხადებდა ღიად აფიქსირებდა, რომ სკოლის შეცვლის მიზეზი სწორედ რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლა იყო. სამუშაოს დატოვება მოუწიათ იმ მასწავლებლებსაც, რომელთაც უარი თქვეს ან ვერ შეძლეს რუსულ ენაზე სწავლება. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები კი გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ეს საგანი სკოლებში აღარ ისწავლებოდა.

ეს ფაქტები, ერთმნიშვნელოვნად ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციად უნდა შეფასდეს. სწავლების რუსულ ენაზე გადასვლამ, როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, სერიოზულად გააუარესა განათლების ხარისხიც როგორც გალის რაიონის სკოლებში, ისე ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებს მიკუთვნებულ, ყოფილი გალის რაიონის სკოლებში. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, მასწავლებლებს კი განათლება ქართულ ენაზე აქვთ მიღებული, ამიტომაც მოსწავლეებს რუსულ ენაზე სწავლა, ხოლო მასწავლებლებს საგნების რუსულ ენაზე სწავლება უჭირთ.

განათლების ხარისხის არასათანადო დონეზე მიუთითებს სტატისტიკაც: 2015 წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გალის რაიონიდან 190 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, რომელთაგანაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი, გამოცდებზე მაღალი შედეგის გამო, მოიპოვა მხოლოდ 11-მა სტუდენტმა, რაც დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა 6%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 13%-ია, ხოლო ქვეყნის მასშტაბით - 16%.

გამყოფ ხაზზე შექმნილი გადაადგილების შეზღუდვები განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას უქმნის იმ მოს-



ოჯახური ანგარიში

წავლევებს, რომლებიც გეოგრაფიულად ახლომდებარე სკოლებში დადიან და ყოველდღიურად გადაკვეთენ გამყოფ ხაზს. დანებებული შუბლუდების გამო, მსგავსი მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. ამასთან, გამყოფი ხაზის გადაკვეთას ახერხებენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეების სპეციალურ სიაში არიან, თუმცა, პირველკლასელები ამ სიაში ვერ ხვდებიან. მიუხედავად სპეციალური სიებისა, მოსწავლეებს მაინც ექმნებათ გადაადგილების პრობლემები და ახლაც რამდენიმე მოსწავლე შემოვლითი გზებით გადაადგილდება. 2016 წლის დეკემბერში სახალხო დამცველს მიმართა ოკუპირებული გალის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა, რომლის შვილებიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის სკოლაში დადიოდნენ. მისი განცხადებიდან ირკვევა, რომ ნოემბერში რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეებმა სკოლის მოსწავლეებს გადაადგილება შეუზღუდეს და გამყოფი ხაზის გადაკვეთა გამშვები პუნქტების საშუალებით მოსთხოვეს. მათი მუდმივი საცხოვრებელიდან უახლოესი - ორსანტის გამშვები პუნქტი სოფელ განმუხურიდან 18 კმ-ში მდებარეობს. ამის გამო მოსწავლეების ნაწილი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდა საცხოვრებლად, ნაწილმა კი გალის რაიონის სოფელ ფიჩორის სკოლაში დაიწყო სწავლა, სადაც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს. აფხაზეთთან შედარებით, განათლების მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთში. ახალგორის რაიონში, წინა წლის მგავსად, 11 სკოლიდან 6 ქართულია, 5 - რუსული და მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების პრობლემა არ აქვთ, რადგან 2008 წლის ოკუპაციის შემდეგ, ვითარება კარდინალურად არ შეცვლილა.

დარღვევები ფიქსირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების მხრივაც: სამხრეთ ოსეთში არანაირი სტატისტიკა არ არსებობს შშმ ბავშვების რაოდენობა-სა თუ საჭიროებებზე, თუმცა, გარკვეული კონკრეტული ფაქტები მაინც ხმაურდება. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ახალგორის რაიონში მდებარე ბავშვთა სახლში ერთი შშმ ბავშვია, რომელიც ხშირად არის როგორც მასწავლებლების, ისე აღსაზრდელების მხრიდან დაცინვის, დამცირებისა და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. გარდა ამისა, ბავშვი, ორ წელზე მეტია, არ დადის სკოლაში და ხშირად რაიონში მეთვალყურეობის გარეშე გადაადგილდება.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა აფხაზეთში, სადაც UNICEF-ისა და World Vision-ის მიერ შექმნილი და დაფინანსებული ცენტრები ფუნქციონირებს. ცენტრები ბავშვებს სთავაზობს ფიზიოთერაპიას, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, ლოგოპედიის მომსახურებას და ა.შ. ცნობილი ვაჟაა, რომ გადამზადდა ცენტრებში მომუშავე 25 წარმომადგენელი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 272 ბავშვსა და მათ მშობლებს საბაზისო მომსახურება გაეწია.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, აფხაზეთში, ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულებაში პედაგოგებმა შშმ ბავშვის სახეზე დაღიურებები შეამჩნიეს. მათი ინფორმაციით, ბავშვი ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მამამ ფიზიკურად დასაჯა. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები ოჯახს გაესაუბრნენ, ვითარება არ გამოსწორებულა. პედაგოგების განმარტებით, აზრს მოკლებულია სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მიმართვა, რადგან ოჯახის საქმეში ისინი არ ჩაერევიან. ცნობილია, ასევე, ერთ-ერთი ფაქტი - აფხაზეთში, მეცხრეკლასელი შშმ ბავშვი სკოლიდან გარიცხეს. ბავშვის ოჯახს სურვილი აქვს, რომ მათმა შვილმა სწავლა გააგრძელოს. სახალხო დამცველის აპარატმა მოზღვას სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია. „მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს შშმ ბავშვების გარიყვა ზოგადი განათლების სისტემიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო და შშმ ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ ინკლუზიურ, უფასო და ხარისხიან დაწყებით და საბაზისო განათლებაზე მათი საზოგადოების სხვა წევრების მსგავსად (მუხლი 24(2)).“ - ვკითხულობთ ანგარიშში.

საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სახალხო დამცველი კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას - **ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებას.**

სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუმართავი სამედიცინო ინფრასტრუქტურა, მედპერსონალის კვალიფიკაციის დაბალი დონე და მაღალი ფასები ნეგატიურ



გავლენას ახდენს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. რამდენიმე საავადმყოფო გარემონტდა, მაგრამ მათ, ძირითადად, პირველადი დახმარებისთვის აკითხავენ. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „არაოფიციალური მონაცემებით, ქალთა 99% გლადიკავკაზში მიდის სამშობიაროდ, უკეთესი პირობებისა და აღჭურვილობის გარდა, რუსეთის ფედერაცია ყოველ ახალშობილზე ფულად დახმარებასაც გასცემს“.

ანგარიშის მიხედვით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აფხაზეთში, რადგან აქ, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და „ეორლდ ვიჟინს“ დახმარებით, რეგულარულად ხორციელდება ბავშვთა ვაქცინაცია და ტარდება ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები (ექიმების, ექთნების, ფსიქოლოგების, მასწავლებლების, პოლიციელების). გაეროს ბავშვთა ფონდმა რაიონულ საავადმყოფოებს, სამშობიაროებსა და სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს მცირე ზომის სამედიცინო დანადგარები და მასალები გადასცა. ამის გარდა, „საქართველოს ხელისუფლებამ, ბოლო წლებში, აფხაზურ მხარეს გადასცა სასწრაფო დახმარების მანქანები, სხვადასხვა აღჭურვილობა და სამედიცინო დანიშნულების ნივთები, ტუბერკულოზისა და დიაბეტის სამკურნალო მედიკამენტები“. ის პირები კი, რომლებსაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობები აქვთ, ჩართულები არიან სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში, ვისაც არ აქვთ - რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში.

სამუხაროდ, ფიქსირდება ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. აფხაზი ექიმების შეფასებით, „ბავშვთა სტაციონარული დახმარება დაბალ პროფესიულ დონეზე იმყოფება, გალის რაიონის საავადმყოფოებში კი საერთოდ არ ფუნქციონირებს რენიმიაციული განყოფილება. ბავშვთა რენიმიაციული განყოფილება არა მხოლოდ გალის რაიონში, არამედ, არც ზუგდიდში ფუნქციონირებს და მიიმე პაციენტები, ძირითადად, ქუთაისსა და თბილისში გადაჰყავთ“.

„2011 წლიდან, აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სასწრაფო დახმარების მანქანას ენგურის ხიდზე აღარ ატარებენ. პაციენტებს გამშვებ პუნქტებზე უწევთ სასწრაფო დახმარების მანქანების შეცვლა. ხოლო ღამის საათებში, როდესაც გამშვები პუნქტები დაკეტილია (20:00 საათიდან 07:00 საათამდე), პაციენტთა გადაყვანა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხდება გალის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან პირადი შე-

თანხმებით, ან სულაც მალულად, შემოვლითი გზებით“. - ნათქვამია ანგარიშში. ამ პრობლემას გადაადგილებისათვის საჭირო დოკუმენტების არქონა ქმნის - აფხაზური პასპორტის ან ფორმა №9-ის. „2016 წელს სახალხო დამცველს 3 შემთხვევის შესახებ აცნობეს, როდესაც შესაფერისი დოკუმენტების არარსებობის გამო არასრულწლოვანი პაციენტები შემოვლითი გზებით კვეთენ გამყოფ ხაზს და ამისთვის 2-3 დღეს გამყოფი ხაზის სოფლებში ყოვნდებიან, რათა შესაფერისი დრო მოეძებნონ გამყოფ ხაზზე გადასასვლელად (როდესაც რუსი მესაზღვრეები ადგილზე არ იმყოფებიან). გალის მკვიდრთა განცხადებით, ასეთი ასეულობით შემთხვევა და ხშირად ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გართულებით მთავრდება.“

სახალხო დამცველი სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს, რომ მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ და გაააქტიურონ მუშაობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ბავშვთა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. თორემ, ვიდრე „ბავშვის უფლებების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და ამ საკითხების პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირება ხდება“, ვინ იცის, რამდენ ბავშვს ვერ გაუწევთ სამედიცინო დახმარებას და გაწვირავთ მის სიცოცხლეს მხოლოდ იმის გამო, რომ გამყოფ ხაზს იქით ცხოვრობს და იქ მისი სიცოცხლე არავის ანალღვებს, ან რამდენი ბავშვის შესაძლებლობებს ვერ ავუნთებთ მწვანე შუქს იმის გამო, რომ ისინი, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იმ გეოგრაფიულ პერიმეტრში მოექცნენ, რომელიც მკაცრ შეზღუდვებს, მათ შორის, მშობლიურ ენაზე სწავლას უკრძალავს და ამ შეზღუდვებს ვერც საერთაშორისო და ვერც სახელმწიფო დონეზე ვერ ვწყვეტთ.

„4. დაუყოვნებლივ შეწყდეს არასრულწლოვანთა დაკავებები და პაციენტები გატარებული უნდა იყვნენ შეუფერებლად დღის ნებისმიერ მონაკვეთში. დაკავებისას მოპყრობის საკითხი და ღამის საათებში დაკავებულთა გათავისუფლების თემა განხილული უნდა იყოს მოლაპარაკებების დროს; 5. საქართველოს მთავრობამ გამოიჩინოს მაქსიმალური მოქნილობა მოლაპარაკებების პროცესში, რათა შესაძლებელი გახდეს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;“ - ეს არის ამონარიდი სახალხო დამცველის რეკომენდაციებიდან.

მომზადდა ლალი ჯეღაძემ

ინფორმაცია

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამა ოქსფორდში

ოქსფორდში საქართველოს შემსწავლელი პროგრამის პირველი კონფერენცია გაიმართა. პროექტი, უცხოეთში საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერაა დაფინანსებული.

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამა ოქსფორდში შედგა და რაც მთავარია, აკადემიური ხარისხის კონტროლის ტესტი წარმატებით გაიარა. 2018 წლიდან, პროგრამის ფარგლებში, საქართველოდან, ყოველწლიურად, 3 მკვლევარი დაფინანსდება.

სკოლების მართვის გაუმჯობესება - ლიდერობის აკადემია

ყველა საჯარო სკოლის დირექტორისა და ფასილიტატორისთვის სკოლის მართვის გაუმჯობესების საკითხებზე ტრენინგები მიმდინარეობს.

ლიდერობის აკადემიის სატრენინგო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო სკოლების დირექტორებს, ეფექტიანად მართონ სკოლა და შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. 2016 წელს ლიდერობის პირველი აკადემია საჯარო სკოლის 1700-მა დირექტორმა გაიარა. ამჟამად, დირექტორები ლიდერობის მეორე აკადემიაში გადიან.

ლიდერობის აკადემია სამი საფეხურისგან შედგება და წარმოადგენს გრძელვადიანი ტრენინგ-მოდულების ერთობლიობას, რომელიც 2016 წელს დაიწყო და 2018 წლის ბოლომდე, ეტაპობრივად, გაგრძელდება.



პრობლემები პროფესიული გამოცდაში

ზოგადი უნარების გამოცდა



გენერალ-მაიორი შერვაშვილი და გამოცდების პროფესიული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი სოფო დოლიძე

რა მიზანს ემსახურება საცდელი ტესტირება

უკვე ათ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც უნარების ტესტს ვამზადებთ და, ამ დროის განმავლობაში, ადამიანები დარწმუნდნენ, რომ ეს ყოველთვის არის ორიგინალური ქართული ტესტი ქართული დავალებებით, ჩვენ არაფერს არ ვთარგმნით და არ ვიღებთ პირდაპირ უცხოური ანალოგებიდან. შესაბამისად, ტესტის შექმნის პროცედურა იწყება ასე - ქართველი ექსპერტები (ფილოლოგები, მათემატიკოსები, ფილოსოფოსები, ლოგიკის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და სხვ.) ვქმნით ძალიან ბევრ დავალებას, რომლებიც ექსპერტული შეფასების არაერთ რაუნდს გადის - არაერთხელ ვკითხულობთ, ვარდაქტირებთ, ვასწორებთ. არის თუ არა დავალება კორექტულად ფორმულირებული; ხომ არ არის ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი; ნამდვილად ერთმნიშვნელოვანია, აქვს თუ არა ერთადერთი სწორი პასუხი - ყოველივე ეს ყველაზე ზუსტად სწორედ საცდელი ტესტირების საფუძველზე დგინდება, შესაბამისად, საცდელი ტესტირება ის აუცილებელი კომპონენტია, რომელსაც ჩვენ ყოველ წელს მივმართავთ ტესტური დავალებების შექმნის პროცესში და რომელიც მიზნად ისახავს არა აბიტურიენტების უნარების შეფასებას, არამედ სწორედ დავალებათა ფსიქომეტრიული მარკერების დამუშავებას - რამდენად კარგად მუშაობს ესა თუ ის დავალება, რამდენად ახერხებს აბიტურიენტების დიფერენცირებას, განსხვავებას მათი უნარების მიხედვით, რამდენად მარტივი ან რთულად შესასრულებელია ესა თუ ის დავალება... ასეთი მონაცემები აუცილებელია, რომ დავალებათა ბანკში ხარისხიანი დავალებები გვქონდეს, ისეთი, რომლებიც უნარებს შეამოწმებს და შემთხვევითი გამოცნობის პრინციპს ნაკლებად დაექვემდებარება, მაქსიმალურად ორიენტირებული იქნება აბიტურიენტთა უნარების სწორად შეფასებაზე.

წლის განმავლობაში რამდენიმე საცდელ ტესტირებას ვატარებთ, ამიტომ ვამზადებთ ზოგადი უნარების ტესტის ოთხ ვერსიას და თითოეული ვერსია ოთხმოც დავალებას მოიცავს. არ იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ ოთხჯერ ოთხმოცი დავალებაა, ბევრად მეტია. ყოველწლიურად, ათჯერ მეტი დავალება უნდა იყოს მზად, რომ ტესტი მაქსიმალურად სწორად დაკომპლექტდეს. ეს კიდევ ცალკე, ძალიან სერიოზული პროცესია. შეიძლება ძალიან ბევრი დავალება გქონდეს, მაგრამ ყველა იყოს ძალიან მარტივი, მხოლოდ მარტივი დავალებებით ტესტს ვერ დააკომპლექტებ, უნდა იყოს როგორც მარტივი, ასევე საშუალო სირთულის და რთული დავალებები. მაგალითად, შინაარსის მიხედვით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ძალიან კარგად მუშაობს ყველა დავალება, რომელიც, ვთქვათ, სამკუთხედის კუთხეების ჯამს შეეხება, მაგრამ, ცხადია, მა-

თემატიკურ ნაწილს მხოლოდ სამკუთხედის კუთხეების ჯამის შესაფასებელი დავალებებით ვერ დავაკომპლექტებთ. თემატიკურადაც სრულიად განსხვავებული დავალებები უნდა გვქონდეს (კიდევ ბევრი პარამეტრი გვაქვს, ვთქვათ, რა უნარს აფასებს - ცოდნას, კონცეპტის გააზრებას, მის გამოყენებას, ახალი ინფორმაციის დაკავშირებას მიღებულ ცოდნასთან და ა.შ.), რომ ტესტი, ყველა ამ კრიტერიუმის მიხედვით, დაბალანსებული გამოვიდეს. ამიტომ, იმ ოთხმოცი დავალების შესარჩევად რეადავალეებიანი ბაზა უნდა გქონდეს. წლის განმავლობაში, ძალიან ბევრ დავალებას ვქმნით და თან, ყოველ წელს, ახალ-ახალ დავალებებს ვთავაზობთ, იმიტომ რომ, ეროვნული გამოცდების დასრულების შემდეგ, ვაქვეყნებთ ოთხივე ტესტის ვერსიას, შესაბამისად, შემდგომი შეფასებებისთვის.

საცდელ ტესტირებაში, საქართველოს მასშტაბით, ფაქტობრივად, ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს - თბილისის, გორის, თელავის, ახალციხის და სხვ. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც ხელს გვიწყობს ამ პროცესის ორგანიზებაში, იმიტომ რომ, ეს მარტივი ნამდვილად არ არის - ათასობით სტუდენტი მონაწილეობს. აქვე მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ სტუდენტს, ვინც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს და ეხმარება თანატოლებს, რომ უფრო დახვეწილი და უხარვეზო ტესტი ჰქონდეთ.

საცდელი ტესტირების მიზანი არა საგამოცდო პროცესის იმიტაცია, არამედ ცალკეული დავალებების გამოცდაა. პროცესი რომ ადვილი ჩასატარებელი იყოს, მისი ხანგრძლივობა ერთ საღებურსაა საათს ემთხვევა. საცდელი ტესტი, წლიდან წლამდე, დაახლოებით, 30-32 დავალებას შეიცავს. ყოველთვის სხვადასხვა ტიპის დავალებები გვაქვს ნარმოდგენილი, მაგალითად, ამჯერად არ იყო წინადადების შევსება. ამ ნაწილს შემდეგ ტესტირებაზე გამოვცდით.

პირველკურსელები ჩვენს თხოვნას ძალიან სერიოზულად იღებენ ხოლმე. მონაწილეობა, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითია. მათ წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი დავალებების გამოსაცდელი ტესტირებაა და არა - მათი უნარების შესაფასებელი. უნარების ტესტი, ერთგვარად, აზარტული შესასრულებელია, ადამიანი კიდევ ერთხელ ცდის საკუთარ ძალებს და ამიტომ, ძალიან ხშირად, აინტერესებთ შედეგი. გარდა ამისა, მომავალში (მართალია, ეს დიდი ხნის შემდეგ იქნება), მათ საერთო სამაგისტრო გამოცდა აქვთ ჩასაბარებელი, ამიტომ კარგია ერთგვარი რეპუტიაციის გავლა.

პასუხების ფურცლებს, რომლებზეც პასუხები გადააქვთ, ვნომრავთ და, ნომრების მიხედვით, ვაქვეყნებთ. სხვა არავითარ ინფორმაციას არ ვაქვეყნებთ, რომ ვინმემ რაიმე სახით ეს შედეგები კონკრეტულ უმაღლეს სას-

წავლებელს ან კონკრეტულ სტუდენტს და მის მოსწრებას არ დაუჟავებოროს - ამ თვალსაზრისით, ძალიან ფრთხილად ვართ და სრულად ვიცავთ ანონიმურობას. ადამიანს თვითონ აქვს დამახსოვრებული საკუთარი პასუხების ფურცლის ნომერი და მხოლოდ იმ ნომრით შეუძლია თავისი ქულის ნახვა როგორც მათემატიკური, ასევე ვერბალური ნაწილის.

რადგან ტესტირებისთვის მაქსიმალურად დაბალანსებული შერევა გვჭირდება, ამიტომ სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებს ვარჩევთ, არა მხოლოდ ძალიან მოთხოვნადი ფაკულტეტების, სადაც, ძირითადად, ვინც გამოცდებზე მაღალი ქულები მიიღო, ისინი მოხვდნენ. ჩვენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გვაინტერესებს. უმაღლეს დანერგულებებს მივმართავთ ხოლმე თხოვნით, ტესტირებაში მონაწილეობა კონკრეტული ფაკულტეტების სტუდენტებს შესთავაზონ. ამ თვალსაზრისით, მრავალფეროვნება დაცულია - შეიძლება ერთი უმაღლესი სასწავლებლის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ, მეორეში - ჰუმანიტარული ფაკულტეტის. საცდელ ტესტირებაში მონაწილეობა უკვე სტუდენტების სურვილზე დამოკიდებულია. ძალიან ბევრი გვთანხმდება, გულმოდგინედ მუშაობს, მათი მოქალაქეობრივი ცნობიერება ძალიან გვიწყობს ხელს ტესტირების სწორად წარმართვაში.

მას შემდეგ, რაც ტესტირება ჩატარდება, ვაგროვებთ მონაცემებს, ვასკანირებთ და იქმნება მონაცემთა ბაზა, რომელიც სტატისტიკურად დამუშავდება. საცდელი ტესტირების საფუძველზე, ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას თითოეული ტესტური დავალების შესახებ - რამდენად რთული ან მარტივია ესა თუ ის დავალება, მონაწილეთა რამდენი პროცენტი ახერხებს მის შესრულებას სწორად, როგორია დავალების 4 თუ 5 სავარაუდო პასუხიდან თითოეული, თავისი მიმზიდველობის ხარისხის მიხედვით, რამდენად ახერხებს დავალება ადამიანების დიფერენცირებას, მათი უნარების მიხედვით. ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით, ვახდენთ დავალებათა კლასიფიცირებას - ხარისხიანი, კორექტული, ვარგისიანი დავალებები დავალებათა ბანკში ხვდება; დანარჩენი დავალებებიდან ნაწილი ექვემდებარება შესწორებას, რევიზირებას, ხოლო გარკვეულ ნაწილს, რომლებიც შესწორებას ნაკლებად ექვემდებარება, უბრალოდ ვაუქმებთ ხოლმე.

ივნისში საცდელი ტესტირების მეორე რაუნდი იმართება, რომელშიც უკვე აბიტურიენტები მონაწილეობენ და ინტერესი ყოველთვის ძალიან მაღალია. მათ ვინვეთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სადაც ამისთვის სპეციალურად მომზადებული სივრცე გვაქვს. აქ უკვე ძალიან დიდი ყურადღება ექცევა თვითონ პროცესს, იმიტომ რომ, აბიტურიენტებს აინტერესებთ, როგორი იქნება საგამოცდო პროცესი. საცდელი ტესტირების პროცესი მაქსიმალურად მიახლოებულია იმას, როგორც საკუთრივ გამოცდაზე იქნება - მეთვალყურე არსებობს, შესასვლელთან ტელეფონებს აბარებენ და ა.შ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილებაა მათთვის, ვინც ეროვნულ გამოცდებზე აპირებს გასვლას. ტესტი, როგორც წესი, ცოცხა ვრცელდება. აქაც ვუბნებთ მონაწილეებს, რომ ტესტირება მიზნად ისახავს დავალებების შეფასებას და ამ შედეგებით ზუსტად წინასწარმეტყველება იმისა, რა შედეგს მიიღწევთ გამოცდაზე, არ შეიძლება. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი აბიტურიენტები ერთგვარ წინასწარმეტყველებას მაინც აკეთებენ და ამიტომ, ძალიან დიდი ინტერესია ხოლმე ივნისში. რეგისტრაციას ღიად ვაცხადებთ, დაახლოებით, 10 დღით ადრე და ძალიან სწრაფად ივსება ყველა ადგილი - 2000-მდე აბიტურიენტი მონაწილეობს. გამოცდაზე ტესტი მრავალგვარად დაბალანსებულია, ამ შემთხვევაში კი, უბრალოდ, გვაქვს დავალებათა ნაკრები, მაგალითად, ძალიან იშვიათად გვაქვს ხოლმე ნარმოდგენილი ნაკითხული ტექსტის გააზრების დავალებები. ამას თავისი მიზეზი აქვს - ეს დავალებები დამახსოვრებადია, ჩვენ კი გვინდა, რომ გამოცდაზე ადამიანი ახალი ინფორმაციის, ახალი ამოცანის წინაშე აღმოჩნდეს, ამიტომ ნაცნობი მათ არაფერი არ უნდა დახვდეთ. შესაბამისად, ძალიან ფრთხილად ვეკიდებით ნაკითხულის გააზრების დავალებების საცდელი ტესტირების პროცესში ჩართვას და, როგორც წესი, აბიტურიენტებთან არ ვცდით. შესაბამისად, რაღაც ნაკლოვანება საცდელ ტესტირებას, იმის საწინააღმდეგეა, როგორი შედეგი შეეძლება გამოცდაზე, აქვს. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მათთვის ეს საცდელი ტესტირება, გამოცდე-

ბამდე რამდენიმე დღით ან ორიოდე კვირით ადრე, ძალიან ინფორმატიულია.

უნარების გამოცდისთვის მზადება

ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებული მომზადება უნარების გამოცდისთვის არ არის საჭირო და ეს გამოცდა ორიენტირებულია იმაზე, რომ აბიტურიენტებმა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა შეძლონ. მაგრამ არ გვინდა, რომ მათ ისე გაიგონ, თითქოს არაფერი არ უნდა იცოდნენ გამოცდის შესახებ, საერთოდ არ უნდა მიექციონ ყურადღება ამ გამოცდას, პირიქით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდაა და, როგორც იცით, მას ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ძალიან მაღალ კოეფიციენტს ანიჭებს საგრანტო კონკურსში. ასე რომ, უნარების გამოცდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცდაა, სავალდებულო გამოცდებს შორისაც.

როგორ მოვემზადოთ ამ გამოცდისთვის? ჩვენს ვებგვერდზე განთავსებულია დამხმარე მასალათა კრებული, სადაც დეტალურადაა ყველაფერი აღწერილი, მოცემულია კონკრეტული ინსტრუქციები და დავალებები დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. ეს დავალებები გარჩეულია - რატომ არის ამ დავალებაში ეს სწორი პასუხი, როგორ უნდა იფიქროს ადამიანი დავალების შესრულებისას, ერთგვარი მიმართულებები და პრინციპები გაცნობილი აბიტურიენტებისთვის, როგორ უნდა იმუშაოს თითოეული ტიპის დავალებაზე. ასევე მოცემულია სრული ტესტიც იმისათვის, რომ მათ საკუთარი ძალები მოსინჯონ. მნიშვნელოვანია, რომ მზად ვიყოთ აქტიური მუშაობისათვის 3 საათის განმავლობაში. ესეც უნარია და ძალიან მნიშვნელოვანი უნარი თანამედროვე სამყაროში გადასარჩენად. სამსუბაროდ, ძალიან ხშირად, ჩვენს ახალგაზრდებს ეს უნარი გამოუმუშავებელი არ აქვთ. მათ შეუძლიათ ერთი საგაკვეთილო პროცესი - 45 წუთი ან ერთი საათი ინტენსიურად იმუშაონ, მაგრამ 3 საათის განმავლობაში ამის გაკეთება ბევრს უჭირს. გამოცდიდან გამოდის ძალიან დაღლილები და ამიტომ განჩნდა მითი, რომ უნარების გამოცდა ყველაზე რთული გამოცდაა. რეალურად ეს ასე არ არის, ხშირ შემთხვევაში, არჩევითი გამოცდები ბევრად უფრო რთულია, მაგრამ განცდა, რომ რთული გამოცდიდან გამოხვედით, ყველა აქვს, იმიტომ რომ, გავიმეორებ, ეს სამი საათის განმავლობაში ინტენსიურად სამუშაო გამოცდაა, არ გვაძლევს, ასე ვთქვათ, ამოსუნთქვის საშუალებას. როდესაც თხზულებას ვერთ უცხო ენის ან ქართულის გამოცდაზე, შემდეგ ვამომვებით, გადავწერთ პასუხების ფურცელზე და ამ პროცესში აბიტურიენტი თითქოს ისვენებს. ასეთი დასვენების საშუალებას ზოგადი უნარების გამოცდა არ იძლევა. აქ არის 80 ცალკე გასააზრებელი პრობლემა, 80 ცალკე გადასატყობი ამოცანა, რომელზეც ადამიანმა ინტენსიურად უნდა იფიქროს, მთელი 3 საათის და 10 წუთის განმავლობაში. ამიტომ არის, რომ ადამიანები, რომლებიც არ არიან მიჩვეული 3 საათის განმავლობაში განუწყვეტელ მუშაობას, ხშირად დაღლილები გამოდის. ესეც გამოსამუშავებელი უნარია. ჩვენს აბიტურიენტებს ჯერ კიდევ ნახევარი წელი აქვთ გამოცდებამდე და ვურჩევ, მოსინჯონ, არაერთხელ, ტესტის სრული ფორმატი შესრულება, ჩვენი კრებული ამის საშუალებას იძლევა. ტესტის 3 თუ 4 ვერსიაა მოცემული, შესაბამისად, შეუძლიათ სრული ფორმატით მოსინჯონ ტესტი და შეამოწონ საკუთარი ძალები დროის მეწვემენტის თვალსაზრისით. ვურჩევთ, ძალიან დიდი დრო არ დახარჯონ თითოეულ დავალებაზე. თუ ხედავენ, რომ დავალებას ვერ ასრულებენ 2 წუთის განმავლობაში, შემდეგ გადავიდნენ. მათ აქვთ უკან დაბრუნების შესაძლებლობა, ტესტის ერთი ნაწილის ფარგლებში, მაგალითად, ვერბალურ ნაწილში, მე-40 დავალებიდან შეგვიძლია ისევ პირველს დავალებად ვერ გადავალთ. ისევე როგორც, თუკი მათემატიკური დავალებების ნაწილზე გადავდით, ვერბალურ ნაწილზე ველარ დაბრუნდებით. აქ ძალიან მკაცრად არის გაყოფილი დრო ორად, ცალკე ვერბალური ნაწილისთვის და ცალკე მათემატიკურისთვის. ეს განსხვავებული უნარებია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საერთო აქვთ და კორელაცია მათ შორის ძალიან მაღალია, ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ ეს ორი სხვადასხვა უნარია და ორივეს შესახებ გვაინტერესებს ინფორმაცია. ერთი ნაწილის ფარგლებში, დავალებებს შორის მოძრაობა აბიტურიენტის სურვილზეა დამოკიდებული. პრინციპია, 80-იდან რაც შეიძლება მეტი დავალება გავაკეთოთ. ძალიან იშვიათად გვაქვს შემთხვევა, რომ აბიტურიენტი 80-ივე



ართიანი პროვინილი გამოსვლი

დავალეხას ასრულებს, მაგრამ 60-70 დავალე-
ბის შესრულებაც ფანტასტიკური შედეგია. შე-
საბამისად, ორიენტირებული უნდა ვიყოთ,
რაც შეიძლება მეტი დავალეხის ამოხსნაზე.
თუკი ვხედავთ, რომ ერთი დავალეხის ამოხსნა
ჩვენთვის პრობლემაა და ძალიან ბევრი დრო
დაიკარგა, ჯობია გვერდით გადავდეთ და სხვა
დავალეხები შევასრულოთ. ტესტისთვის გა-
მოყოფილი დრო საგნებით საკმარისია 80-ივე
დავალეხის შესასრულებლად. ეს დრო ჩვენ პა-
ერიდან არ გვაქვს მოტანილი და არც ჩვენი სუ-
ბიექტური წარმოდგენაა - მოდი, მივცეთ აბი-
ტურიენტებს 3 საათი. დრო ძალიან დიდი მუ-
შაობის და პილოტირების შედეგად დადგინდა.

განსხვავება სავალ ტესტირებასა
და პილოტირებას შორის

სავალ ტესტირებაზე ჩვენ ცალკეული და-
ვალეხების მონაცემები გვანტირებს, პილო-
ტირებაზე კი - როგორ მუშაობს მთელი ტესტი,
რამდენად საკმარისია დრო ტესტის შესასრუ-
ლებლად, რამდენად დაბალანსებულია ნაწი-
ლები, ხომ არ ჯობია, რომელიც ნაწილი შემ-
ცირდეს და რომელიც - გაიზარდოს და სხვა
ინფორმაცია სრული ტესტის შესახებ. პირველ
წლებში, როდესაც ახალი იყო უნარების ტესტი,
პილოტირება განსაკუთრებული ინტენსივი-
ობით ტარდებოდა. ახლა უფრო იშვიათად ტარ-
დება, რადგან ეს ინფორმაცია დაგროვილია და
წლიდან წლამდე არ იცვლება.

თავიდან, 2005-07 წლებში, 3 საათში 100 და-
ვალეხა იყო შესასრულებელი. შემდეგ შევამცი-
რეთ დავალეხების რაოდენობა, დრო იგივე
დავტოვეთ. დავალეხების ტიპები არ შეცვლი-
ლა, მაგრამ უფრო რთული გახდა და აბიტური-
ენტებს შესრულება ადვილად რომ შეძლე-
ბოდათ, დრო იგივე დავტოვეთ და შესასრუ-
ლებლად 80 დავალეხა მივცით. ეს დღემდე
ასეა - 80 დავალეხა უნდა შესასრულონ 3 საათ-
სა და 10 წუთში. 10 წუთი რომ უნდა დაგვემატე-
ბინა, ესეც პილოტირების შედეგად დაავადი-
ნეთ, იმიტომ რომ, შარბან, როგორც იცით, ნა-
ხევრად ელექტრონულ ფორმატზე გადავიდით,
რომელიც გულისხმობს ტესტის ნაკითხვას ეკ-

რანზე და პასუხების ფურცელზე მონიშნას
პასუხისა. აღარ გვაქვს თვითონ ტესტის რეუ-
ლი სამუშაოდ, სადაც მათემატიკის ან ლოგიკის
დავალეხებისთვის ნახაზებს გავაკეთებდით,
ამისთვის გვაქვს ცალკე შავი ფურცელი. დრო-
ის ეს დანახარჯი დავალეხების დროულად ვერ
შესრულების მიზეზი რომ არ ყოფილიყო, ამი-
ტომ გავზარდეთ დრო 10 წუთით.

რომელი ნაწილის ან
რომელი კონსტრუქციის
დავალეხის შესრულება უჭირთ
ყველაზე მეტად აბიტურიენტებს

სავალ ტესტირებას სწორედ იმიტომ ვა-
ტარებთ, რომ ვიცოდეთ თითოეული დავალე-
ხის სირთულე და ტესტის კონსტრუქციის
პროცესში გავითვალისწინოთ. მაქსიმალურად
ვცდილობთ, ყველა ვარიანტი თანაბარი სირ-
თულის იყოს, მაგრამ, როდესაც საკუთრივ გა-
მოცდაზე, თითოეულ სესიასზე, 8000 აბიტური-
ენტია (ნაცვლად 1000-ისა - სავალ ტესტი-
რებაზე), დამთავრებით, შეუძლებელია და
თეორიულადაც კი გამოირიცხოს, 8000-ეემ
ზუსტად ერთნაირად შესასრულოს 80-ეე დავა-
ლება. იმიტომ აუცილებლად გვექნება განსხ-
ვავება ტესტის სირთულეებს შორის. ეს განსხ-
ვავება იმიტომ არის მინიმალური უნარების
შემთხვევაში, რომ ტესტს სწორედ სავალე
ტესტირების უფეს საფუძვლად და კონსტ-
რუქციის პროცესში უკვე გათვალისწინებუ-
ლია თითოეული დავალეხის სირთულე. იმი-
ტომ განსხვავება ყოველთვის მინიმალური
გვაქვს ხოლმე ვერსიებს შორის.

წინასწარ იმის თქმა, რომელი ვერსია იქნე-
ბა უფრო რთული ან მარტივი, შეუძლებელია
- ეს დამოკიდებულია იმ კონკრეტულ ადამი-
ანებზე, რომლებიც აღმოჩნდებიან კონკრე-
ტულ სესიაზე - რომელი 8000 ან რომელი
9000 აბიტურიენტი იქნება სესიაზე და რო-
გორ შესასრულებენ ისინი ტესტს.

რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვისაუბროთ და-
ვალეხების ტიპებზე, იმიტომ რომ, წლიდან
წლამდე, გამოცდების შემდეგ, სტატისტიკურ
ანალიზს ვაკეთებთ და შედეგებს ვაქვეყნებთ.

ტრადიციულად, სხვადასხვა ტიპის დავალეხა
გვაქვს, შედარებით რთულია, მაგალითად, ნა-
კითხული ტესტის გააზრება და ეს კრიტიკუ-
ლად მნიშვნელოვანი დავალეხაა ზოგადი უნა-
რების ტესტისთვის. სწორედ ეს არის ის, რაც
უნდა შეამომწოს ზოგადი უნარების ტესტმა -
ახალ ინფორმაციის აღქმა და გააზრება, ამ
შემთხვევაში - ტესტის სახით წარმოდგენი-
ლი. სწავლის პროცესში, სტუდენტობის დროს,
მათ ახალი ტესტები, ახალი სახელმძღვანე-
ლოები, ახალი რიდერები ექნებათ და უნდა წა-
იკითხონ, გაიზარონ და ისწავლონ ეს ყველა-
ფერი. ყველაზე ახლოს ამ პროცესთან სწორედ
ნაკითხული ტესტის გააზრებაა, იმიტომ ამ
ტიპის დავალეხები ვერბალურ ნაწილში ბევ-
რია, სულ მცირე - 40-იდან 12. ეს აუცილებ-
ლად ამ წილით გვექნება წარმოდგენილი და
არასოდეს არ შევამცირებთ, პირიქით, შეიძ-
ლება გავზარდოთ (წელს ეს არ იგეგმება, მაგ-
რამ იდეა არის, რომ ნაკითხულის გააზრება
დიდწილად უნდა იყოს წარმოდგენილი).

ნაკითხულის გააზრების დავალეხები რა-
ტომაც ყველაზე რთულია ჩვენი აბიტურიენ-
ტებისთვის. რატომ? იმიტომ, რომ კითხვა,
კითხვა და კითხვა! - ჩვენი მარტივი რჩევაა. ეს
პროცესი რატომაც არ გვიყვარს. ძალიან
მნიშვნელოვანია, ვიკითხოთ ბევრი ვრცელი
ტესტი. აბიტურიენტებს ეზარებათ, პირდა-
პირ ვთქვათ, მთელი (ერთგვერდიანი) ტესტის
ნაკითხვა, ურჩევნიათ, ამ დროს პატარა, ძა-
ლიან ლაკონური დავალეხა შესასრულონ. რო-
გორც წესი, ძალიან ხშირად, არც კი ასრულე-
ბენ ამ დავალეხებს, დროს ზოგადად და სხვა
ტიპის დავალეხებს უთმობენ, მაგალითად,
ანალიზებს. რა თქმა უნდა, ასეთი გათვლით
ბარიერს გადალახავენ, მაგრამ თუკი ჩვენ სე-
რიოზული განაცხადი გვაქვს და მიზნად
გვაქვს დასახული საინტერესო ფაქტორები
მოხვედრა წარმატებულ, მოთხოვნად უმაღ-
ლეს სასწავლებელში, მაშინ ასეთი სტრატეგი-
ებით ფონს ვერ გავალთ. არიან ადამიანები,
რომლებსაც უნარების ტესტში მინიმალური
ქულა აკმაყოფილებს და ცხადია, ისინი ამას
ტესტების ნაკითხვად შეძლებენ, იმიტომ

რომ, ბარიერი მართლაც მინიმალური გვაქვს -
30%. მაგრამ თუკი გვინდა, მაქსიმალურად
ვაჩვენოთ ჩვენი უნარები, გვინდა კარგი შედე-
გი, გრანტი, გვინდა საინტერესო ფაქტორები
ზე სწავლა, მაშინ ასეთი სტრატეგია ნაკლებად
გამოგვადგება იმიტომ, რომ ნაკითხული ტესტ-
ების გააზრების დავალეხების წილი დიდია.
ეს ტესტები ძალიან საინტერესოა, არ არის
რთული, უზარალოდ, რატომაც, მთელი წლის
განმავლობაში, ნაკლებ ყურადღებას ვუთ-
მობთ კითხვას, არ გვიყვარს ეს პროცესი და
გვგონია, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ტესტები გვაქვს ან ორივე საშუალო სირ-
თულის ან ერთი - მარტივი და მეორე - შედა-
რებით რთული. თუკი აბიტურიენტები ყუ-
რადღებით ნაკითხავენ ტესტს, ძალიან
რთულად წარმომიდგენია, რომ ვერ შეძლონ ამ
დავალეხის შესრულება და ტესტმა არ გაიტა-
ცოს. ტესტები მრავალფეროვანია - ისტორი-
ული, ბიოლოგიასთან ან ბუნებისმეტყველე-
ბასთან დაკავშირებული, ჰუმანიტარული, ფი-
ლოსოფიასთან ან ფსიქოლოგიასთან დაკავში-
რებული, ან სხვა საინტერესო, ახალი მასალა,
რასაც შემეცნებითი ინტერესითაც კითხუ-
ლობს ზოგიერთი და ძალიან დიდ სიამოვნება-
საც იღებს. რა კარგი ტესტები იყო! როგორ
გავერთო! რა კარგი რალალები გავიგე! - სა-
ბედნიეროდ, ასეთ უკუკავშირსაც ვაძლევდნ
და იმედი მაქვს, ასეთი აბიტურიენტები, წლი-
დან წლამდე, მეტი და მეტი გვეყოლება.

ზოგადად, კითხვა უნდა ვისწავლოთ,
კითხვა გვჭირდება აუცილებლად! იკითხეთ
რაც შეიძლება მეტი როგორც სამეცნიერო-
პოპულარული ლიტერატურა, ასევე მხატვ-
რული. მხატვრულ ლიტერატურის კითხვისას
სიამოვნებასაც ვიღებთ და შეიძლება ეს პრო-
ცესი ჩვენთვის ორმაგად სასარგებლო იყოს -
სასიამოვნო და თან კონკრეტული პრაგმატუ-
ლი შედეგის მომტანი.

გადაცემის
„გამოცემაშიდან გამოცემამდე“
თიქომ ანჰაფარისთან ერთად
მიხედვით მოამზადა
ლალი თვალაბიძე

თვალაბიძის

გუგ(უ)ლი დეიდასა და მესხიერების დუელი,
ანუ ვილასამ გუგ(უ)ლს გადაუფრინა

„ზეპირად მოსაუბრე“ ნიშნავს ადამიანს, რომელიც თავან-
ულად საუბრობს და ქალაქებში არ იქეჩება პრეზენტაციისას.
მასსოფრობის ვარჯიში საჭიროა არა მარტო ჰუმანიტარებისთ-
ვის, არამედ ტექნიკური საგნის სპეციალისტებისთვისაც. კან-
დიდატს, რომელიც თუნდაც იმავე „გუგლთან“ დასაქმების გა-
საუბრებაზეა, კონკრეტულ პრობლემაზე კოდის დანერგა მოს-
თხოვენ და თუ საჭირო ალგორითმი არ ემასსოვრება, „გუგლში“
ვერ დასაქმდება. თუნდაც მათემატიკის დოქტორანტი, რომელ-
საც საკვალიფიკაციო გამოცდაზე პრობლემის ამოხსნას მოს-
თხოვენ და არ ემასსოვრება საჭირო თეორემები და მტკიცებე-
ბი, ვერ გაივლის გამოცდას. ან რამდენად ეფექტური იქნება ის
მენეჯერი, სიტყვით გამოსვლისას ან ცოცხალი ინტერვიუს მი-
ცემისას, დანერგულ ტესტს თვალს თუ ვერ მოაცილებს და ზე-
პირად სიტყვას ვერ იტყვის? ან პოლიტიკოსი ღია დებატებისას
ხმის ამოღებას ვერ შეძლებს? ხმოვანი, ზეპირი კომუნიკაციის
კლასები სავალდებულოა ამერიკის თითქმის ყველა უნივერსი-
ტეტში. გარდა იმისა, რომ ქართველმა ბავშვმა ილიას, აკაკის და
ვაჟას ერთი ლექსი მაინც უნდა იცოდეს ზეპირად, მასსოფრობის
ვარჯიში აუცილებელია, რომ წარმატებული კარიერა ჰქონდეს.
მიმარჩნია, რომ სკოლებში მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ავ-
ტორის ნაწარმოებებიდან, პოემებიდან და ლექსებიდან საზეპი-
როების მომზადების გადწყვეტილება, კონკრეტული საგნის
მასწავლებელმა, ინდივიდუალურად უნდა მიიღოს და მოსწავ-
ლეების სურვილით შეარჩეულიც არ გამოჩნეს. საზეპიროების
სწავლა ზოგი მოსწავლისთვის ინტერესო, სტრესული და დამ-
თრგუნველია (ზოგიერთისთვის და არა ყველასთვის). მოსწავლეები
ლექსისა თუ ციტატების დაზეპირებას იმ თემაზე მსჯელობას
ამჯობიებენ, რაც მათშია გადმოცემული და სწორედ იმ ზოგი
მოსწავლის წერითი კულტურა უკიდურესად დაბალი, სიტყვათა
მარაგი - მწირი, სტილი - საკანცელარო. თავს ვერ არიდებენ
კლიშეებისა და ბანალური ფორმულირების გამოყენებას.
მათი ნამუშევარი სტილისტურად დაუხვეწავია, არ შეუძლიათ
სინონიმების აქტიური გამოყენება, ასევე, არ შეუძლიათ მოიყ-
ვანონ სხვა ავტორების ქმნილებიდან მოხმობილი ანალოგიები
თუ არგუმენტები. საზეპირო მასალა გონების ვარჯიშისთვის
აუცილებელია და ის აქტიური სამუშაო პროცესის შემადგენე-
ლი ნაწილია.

ბებს, მოსწავლის მხრიდან, გაანალიზება და მსჯელობა ახლავს
თან. „ლურჯა ცხენები“ ან „სილაფვარდე ანუ ვარდი სილაში“
როგორ უნდა გაანალიზონ ტექსტის მოუხმობლად, შინაარსი
უნდა გადმოსცენ? მაგალითად, გასწავლარს „ივლისისფერი
ყინვის თასები“? საზეპიროს ვერ ვუწოდებ მხოლოდ დამთრ-
გუნველს. ის საჭიროც არის გონებისთვის. თუმცა, ზომიერების
ფარგლებში. მოსწავლეებში ყოველთვის სტრესის გამომწვევია
ის, რასაც შეფასება მოსდევს, იმიტომ მასწავლებელმა მოსწავ-
ლე, ანალიზისა და საზეპიროების კუთხით, თანაბრად უნდა შე-
აფასოს, მთავარია, სასწავლო პროცესში ხალისი და ინტერესი
ჩაღოს. შენც უნდა „აფეთქე“ იმ საზეპიროთი, „გადაუფრინო
გუგლს“, შენი განსწავლულობა წარმოაჩინო და თუ „გვეფხის-
ტყაოსანს“ ასწავლი, უნდა ანახო მოსწავლეებს, რატომ იყო
„გვეფხისტყაოსანი“ აფეთქება, რა უძლოდა წინ, რატომ დევნი-
ნენ თვითონ ტექსტსა და ავტორს... გალაკტიონის სწავლებისას
მევეტლესთან ერთად შენც უნდა დააჯდე და იქროლო გურისის
მთებში... მართალია, სამ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს მიყოლე-
ბით რომ ასწავლი ბავშვს, ძალიან იღლება. პაუზები თუ არ გაა-
კეთე, სახალისო მომენტები თუ არ შეიტანე, შუაში სხვა თანა-
მდროვე ტექსტი თუ არ ნაკითხე ან ფიქრი არ ანახე, ეს და-
ტრავირებს ბავშვებს. ციტატებიდან უნდა ელვაპარაკო, შენ თვი-
თონ უნდა იყო ერთი მსახიობი სცენაზე. სწავლის პროცესი სა-
ხალისო უნდა იყოს. ვილაცა „დაგუგლავს“, ვილაცა „გუგლს“
გვერდს აუვლის, გადაუფრენს და თუ ბავშვმა მშობლიური ლი-
ტერატურის მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების ადგი-
ლები არ დაისწავლა და არ გაიაზრა, როგორ უნდა ჩამოუყა-
ლიბდეს ეროვნული თვითშეგნება? ეს ციტატები მას მთელი სი-
ცოცხლე ემასსოვრება და გამოადგება კიდევ. ლიტერატურა-
შიც საზეპიროებს არ სთხოვენ ბავშვებს, გრამატიკული ნორმე-
ბიც არ ისწავლება. მათემატიკაშიც ხომ არის დასაზეპირებელი
ნუსხები? როგორ უნდა ისწავლო მათემატიკა, თუ თეორია და წე-
სები არ იცი? ფიზიკაში, ქიმიამი ძლიერია ბავშვი და ამ დროს
წესს ვერ გეუბნება, კანონი არ იცის. მაგალითად, პითაგორას
თეორემა, მენდელეევის პერიოდულობის კანონი. არის ისეთი
კანონები, რომლებიც ზეპირად უნდა იცოდეს და ამ დროს შენი
სიტყვებით რატომ უნდა გადმოსცე? ყველა წარმატება „გუგლ-
თან“ ვერ იქნება მიბმულ-დაკავშირებული.

ლისა და უცხოური ენების გამოცდებში საზეპიროებს აღარ
სთხოვენ. ეროვნული სასწავლო გეგმა მიანიშნებს, რომ სას-
წავლო პროცესში აუცილებლად გამოკვეთილი უნდა იყოს შე-
დეგი, ხოლო შედეგამდე მისასვლელი გზა უამრავია. ეს ალ-
ტერნატივა უნდა დაფუძვით მასწავლებელს, როგორც თავი-
სუფალი არჩევანი. ეს შეიძლება მოხდეს საზეპიროებით ან მის
გარეშე. ეროვნულ სასწავლო გეგმაში პირდაპირ წერია, რომ
ერთ-ერთი მნიშვნელოვანია არა ცოდნის რაოდენობა, არამედ
- ხარისხი, რაც ზუსტად გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ კონ-
კრეტული ინფორმაციის ცოდნა, საზეპიროები არ შეიძლება
იყოს ცოდნის მიღწევის ერთადერთი გზა. ინფორმაციის გააზ-
რებას უნდა დაეთმოს დიდი მნიშვნელობა. მასწავლებლის ერ-
თადერთი დოკუმენტი არის შედეგი. ერთმა და იმავე მასწავ-
ლებელმა შეიძლება ერთ კლასთან წარმატებით გამოიყენოს
ერთი აქტივობა, მაგრამ მეორე კლასთან განსხვავებული აქ-
ტივობა დასჭირდეს, რადგან ერთ კლასში სწავლობენ ბავშვე-
ბი, რომელთათვისაც განზოგადების, ანალიზის პროცესი ნაც-
ნობია, მეორე კლასში კი გვყავს მოსწავლეები, რომლებსაც
უფრო მეტი თავისუფლება და მეტი უნარების მიწოდება სჭირ-
დებათ, რათა შეძლონ მიღებული ინფორმაციის განზოგადება.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამას
თუ გადავხედავთ, გამოვიტანთ დასკვნას, რომ აღნიშნული
პროგრამა ორიენტირებულია მოსწავლის ცოდნის, გაგების, გა-
მოყენების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარ-ჩვევების
განვითარებაზე სწავლა-სწავლების საფეხურების მიხედვით.
შედეგები, რომლებიც აღნიშნულ დოკუმენტშია განწერილი, და-
მოკიდებულია მასწავლებლის ოსტატობაზე, თუ როგორ, რა
გზებით მიადნენ. ფილოლოგი რევაზ სირაძე წერდა: „წომენე-
კლტურული გამოთქმა - საზეპიროც აუცილებელია. ამხელა კა-
ცი ვარ და მე ვერ ვიზეპირებ ხოლმე რალაცას, მაგრამ „განთია-
დი“ რომ ქართველმა ზეპირად არ იცოდეს, შეიძლება?“ არ შე-
იძლება. შესაძლოა, ბავშვს „გვეფხისტყაოსნის“ ერთი სიტყვაც
არ ესმოდეს, მაგრამ მაინც რალაც ჯაფოსურ იმპულსს ეზიარ-
ება. დაბოლოს, ყველა მასწავლებელი ინდივიდუალურია.
მოგვეცით საშუალება, საჭიროებისამებრ, „ვიფრინოთ“ ბავშ-
ვებთან ერთად „გუგლთან და გუგლის გარეშე“, თავად გადაე-
წყვიტონ, რომელ ლექსს ისწავლიან და რომელ - ფორმულას.

ლია გომონია

სისო ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის
№ 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

გვასსოვდეს ვისი გორისა ვართ

ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი - გიორგი ქომეტიანი), ტრადიციულად, ყოველწლიურად აღინიშნება დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ (თავმჯდომარე - ლიანა ტეფანაძე), ისტორიის მასწავლებლის, ეთერ ბუცხრიკიძის ხელმძღვანელობით, მოაწყო ღონისძიება თემაზე: „გავიცოცხლოთ XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორია“, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს - 8 თებერვალს.

ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეთა ზნეობრივ-პატრიოტული აღზრდა. VIII, IX, X კლასების მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წარმოეჩინათ მეფე დავითი, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ძლიერ-მოსილი მხედართმთავარი, მისი პიროვნული ღირებულებები და ქვეყნისა და ერის წინაშე უდიდესი დამსახურება. თითოეული მოსწავლის გამოსვლაში ხაზგასმული იყო, თუ როგორ იძლეოდა მეფე ტოლერანტობის, კაცთმოყვარეობის, მამულიშვილობის, ერისკაცობის, სიმამაცის, სიქველის, სიბრძნის, სათნოობის, სამართლიანობის, სულის სიმტკიცისა და სისპეტაკის მაგალითებს. მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს ლექსები, მათ შორის, ანა კალანდაძის ლექსი „გულზე დამადგით ფეხი ყოველმან“, მურმან ლებანიძის „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“. ნაწევრები იქნა ვიდეომასალა „დიდგორის ბრძოლა“ („ძლიერი საკვირველი“), მოისმინეს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და გოგო, დოლიძის მიერ შესრულებული სიმღერა „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“. მოსწავლეებმა ფანდურზე შეასრულეს სამშობლოსადმი მიძღვნილი სიმღერები და აჩვენეს ქორეოგრაფიული ნომრები.

ღონისძიებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი VIII კლასის მოსწავლეებმა: ნიკა თათოშვილმა, ვანო მაისურაძემ, გვანცა კუბლაშვილმა; IX კლასის მოსწავლეებმა: მარიამ მათოშვილმა, ზაგრატ კირთაძემ, ვაჟა ლობჯინიძემ, მარიამ ობოლაშვილმა.; X კლასიდან - ნინო ივანიძემ და თამარ მაისურაძემ.

ღონისძიება საინტერესოდ წარიმართა. სკოლის დირექტორმა გიორგი ქომეტიანმა და დირექტორის მოადგილე ნუნუ ბაღდოშვილმა მადლობა გადაუხადეს ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებს და მათ ხელმძღვანელს.

ეთერ ბუცხრიკიძე
დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ინფორმაცია

„ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღე

„ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღეების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის - ჰორიზონტი 2020-ის საინფორმაციო დღე - უსაფრთხო, სუფთა და ეფექტური ენერჯის მიმართულებით.

დამსწრე საზოგადოებას მიენოდა ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და მონაწილეობის წესების შესახებ. ასევე, მის ფარგლებში ენერჯეტიკის მიმართულებით გამოცხადებული და დაგეგმილი კონკურსების შესახებ. მოკლედ იქნა მიმოხილული მკვლევართა გადამზადებისა და კვლევითი კარიერის განვითარებისთვის მარი სკოლოდოვსკა-კიურის პროგრამის მიმართულებით არსებული შესაძლებლობები: მიმდინარე და დაგეგმილი კონკურსები.

კვლევითი ინსტიტუტებისა თუ უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა შეიტყვეს კიდევ ერთი მხარდაჭერი ფინანსური ინსტიტუტების შესახებ, რომლის ფარგლებშიც, კვლევებისა და ინოვაციის კუთხით ნაკლებად განვითარებულ ინსტიტუტებს, სამეცნიერო და ტექნოლოგიური დონის გაძლიერების მიზნით, ევროკავშირის წამყვან კვლევითი ინსტიტუტებთან და/ან უნივერსიტეტებთან დამეგობრების შესაძლებლობა ეძლევა.

ჟურნალისტებთან გამართულ ბოლო შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა „ჰორიზონტი 2020“-ის მიზნულობაზე: „მეცნიერების რეალისტურ დაფინანსებას ისეთი თანხა სჭირდება, რაც ჩვენ არ გვაქვს. გამოსავალი რაშია? გამოსავალი ის არის, რომ ვისაც აქვს ბევრი ფული და იძლევა ამ სამეცნიერო გრანტებს, იმას გამოვართვათ. „ჰორიზონტი 2020“ ევროპული ფონდია, რომლის ყულაბაში 77 მილიარდი ევრო დევს. საქართველო, მარმნდელი წლიდან, „ჰორიზონტი 2020“-ის წევრია და გავვიჩნდა საშუალება, ამ ყულაბიდან ავიღოთ დაფინანსება სამეცნიერო კვლევისთვის. სამი მილიონი ევრო (საწევროს სახით) გვიჯდება მონაწილეობა (სამი მილიონი დარჩა მას შემდეგ, რაც, როგორც მცირე ეკონომიკის ქვეყანას, 80% დაავიკლეს, 15 მილიონია სტანდარტული), ანუ სამი მილი-

ონი ევრო გავიდა 2016-ში საქართველოს ბიუჯეტიდან, რომ გაუმზადრევიდა „ჰორიზონტი 2020“-ის წევრი. მილიონ-ნახევარს ფონდი გიბრუნებს პირველივე წელს, ასეთი წესი აქვს - შენი გადახდილი საწევროდან ნახევარს გიბრუნებენ, ანუ 2017-ში მილიონ-ნახევარ ევროს მექანიკურად დაგიბრუნებენ, მეორე მილიონ-ნახევარი, 2016-ში, ჩვენმა მეცნიერებმა უკვე წამოიღეს. ამგვარად, პირველი წლის ანგარიში ასეთია - სამი მილიონი გავიდა, სამი მილიონი შემოვიდა. ჩვენი ანგარიში განულდა პირველივე წელს, რაც ძალიან კარგია და მომავალ წლებში იმედი გვაქვს, რომ მეტს ვიმუშავეთ და მეტი პროექტი იქნება. გვინდა, რომ 2017-ში გავიღეს სამი მილიონი და შემოვიდეს ხუთი.

მეცნიერები ერთიანდებიან კონსორციუმებში, ეს არის აქ პრინციპული, რომ მართო ქართველ მეცნიერს დაფინანსება ვერ მოაქვს, უნდა შეუამხანაგდეს, მაგალითად, ესპანელს ან ბულგარელს, ერთად დაწერონ სამეცნიერო პროექტი და კონკურსში მიიღონ მონაწილეობა. როგორც შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი აწინაიღებს, ეს ფონდიც ზუსტად იმავე პრინციპით აწინაიღებს დაფინანსებას. ამით ცდილობენ, რომ ევროპის ქვეყნებს შორის სამეცნიერო თანამშრომლობას ჩაუყარონ საფუძველი, დაამეგობრონ მეცნიერები. იმ ერთობლივ პროექტებში მილიონ-ნახევარი საქართველოს წილია, მთლიანად პროექტები უფრო მეტად დაფინანსდა.“

ქალაქ წითელწყაროს (ახლანდელი - დედოფლისწყაროს) ქართული საშუალო სკოლის 1963-64 სასწავლო წლის XI კლასის კურსდამთავრებულების სახელით, კლასის ორგანიზატორი ნანა ჭიჭინაძე ღრმა მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაცვალა დაწყებითი კლასის პირველი მასწავლებელი, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ქალბატონი თამარ ყოჩიაშვილი და თანაგრძობის უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს: ნანა და მიშკო მერაბიშვილებს, ნუგზარ, ზურიკო და თამარიკო მამუკელაშვილებს.

სკორტი

ევაძის ახალი ფურცელი

ბათუმელმა ნიკა ევაძემ ქართული სპორტის ზამთრის სახეობათა ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა - თურქულ ერზურუმში ჩატარებულ ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, ფიგურულ ციგურაობაში, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ დღემდე 80 სპორტსმენით 12-ჯერ გამოვედით ამ ფესტივალზე და მხოლოდ ერთადერთი წარმატება გვქონდა, ისიც - ამავე სახეობაში, ანუ ფიგურულ სრიალში, რომელიც 20 წლის წინ ვახტანგ მურვანიძემ იზეიმა - შეედურ სუნდსვალში ვერცხლის მედალი ირგუნა.

ევაძე მოციგურავეთა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო, თუმცა ამას წარმატებაში ხელი არ შეუშლია. საგაღებულო პროგრამის შემდეგ მეექვსე იყო, ნახტომი მედლისკენ კი თავისუფალ პროგრამაში გააკეთა. მით უფრო, ფაგორიტები „ჩაფლავდნენ“, ევაძემ კი, პირიქით, ტექნიკურად უნაკლოდ ისრიალა, ხტომებიც კარგად შეასრულა და მაღალი შეფასება დაიმსახურა, რამაც მოუტანა კიდევ მედალი.

აღსანიშნავია, რომ მისმა გამოსვლამ წამყვანი უცხოელი სპეციალისტების დიდი მონონება დაიმსახურა. „ძალიან კარგი ბიჭი გყავთ, მიხედეთ მას, მისგან მაღალი დონის პროფესიონალი დადგება“ - ასე მიულოცა ჩვენს დელეგაციას ევაძის წარმატება ალექსეი მიშინმა, სანკტ პეტერბურგის ცნობილი სკოლის დამაარსებელი.

„ჩვენთვის ნიკა აღმოჩენაა. ყოჩაღ, მას კარგი მომავალი აქვს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ტექნიკური არსენალი“ - ეს უკვე ბელორუსის ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტის, ნიკოლაი ანანიევის სიტყვებია.

ერზურუმში საქართველოს დელეგაცია სულ 6 სპორტსმენით წარდგა, თუმცა დანარჩენებმა მედლის მოპოვება ვერ შეძლეს. ევაძის გარდა, თურქეთის ამ მაღალმთიან საკურორტო ქალაქში სამთომოთხილამურეები - ევატერინე გოცირიძე, თამარ ბარბარაიანი, ლაშა და გიორგი კურტანიძეები და სნოუბორდისტი ბაქარ მუშუქიანი ასპარეზობდნენ. ამათგან ყველაზე უკეთ მუშუქიანი გამოვიდა - მე-10 შედეგი აჩვენა.

თურქეთიდან დაბრუნებულ ევაძეს და ჩვენს დელეგაციას უკვე გაუმართეს ოფიციალური მიღება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ესწრებოდნენ. საბელოვმა ევაძესა და მის მწვრთნელ ლელა ჩოფიკაშვილს ფულადი პრემია და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. საჩუქრები ფესტივალის დანარჩენმა მონაწილეებმაც მიიღეს.

ბინჯაშვილის მედალი

ამ დღეებში სოფიამ ჭაბუკ და ახალგაზრდა კარატისტა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც 50 ქვეყნის 1200 მონაწილეს შორის ქართველებიც იყვნენ. ჩვენებიდან ყველა-

ზე დიდი წარმატებით ანრი ბინჯაშვილმა იასპარეზა, ვინც ჭაბუკებში 76 კილოგრამში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბინჯაშვილმა სოფიის რინგზე დიდი ჩხუბი გააჩაღა და პოლონელ მაჩია სკოლუბას 2:0, ხოლო გერმანელ ჯერონიმ ეტემის 4:0 მოუგო. ქართველი კარატისტი მეოთხედფინალში სლოვაკ ადი გიურიკსაც ამარცხებდა - 1:0, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევის მიზეზით გააფრთხილა და ნაგება ჩაეთვალა. აღსანიშნავია, რომ გიურიკი მერე ჩემპიონი გახდა, ბინჯაშვილმა კი საწუგეშოში გააგრძელა ჩაუქობა: ებრაელ ელრაზეკ მოუსასთან ფრედ, 0:0 კი დაასრულა პაექრობა, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილებით, გამარჯვება მას მიენიჭა, ინგლისელ მიშელ ტორპსაც 2:2 დაუზავდა, შვეიცარიელ კოლ კაბაშის კი 3:2 მოუგო და მედალსაც დაეუფლა.

ჩვენი გუნდიდან ბრინჯაოს მედლების მოპოვება, ამავე ასაკში, დიმიტრი კურჩენკოსაც შეეძლო 61 კილოგრამში, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა დათმო და მეხუთეზე დარჩა. მეშვიდე ადგილზე ერთბაშად სამი ქართველი გავიდა: ასევე 17-წლამდელებში - ოთარ ანთაძე (+76), 20-წლიანებში - თამუნა თურმანიძე (61) და 15-იანებში - ლუკა ხვედელიანი (57). მათ მედლები და პრემიები ვერ დაიმსახურეს, მაგრამ მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის სარეიტინგო ქულები კი მოიპოვეს.

ძიულოს საიბედო სვლა

ძიულოს აკადემიაში დასრულებულმა ჭაბუკ ძიუდოსიტა საქართველოს ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ძიუდოს გეოგრაფია და პოპულარობა განუხრელად იზრდება. ნაკრების წევრები წამოვიდნენ ისეთი რაიონებიდანაც, სადაც ძიუდომ ან ბოლო წლებში დათმო პოპულაციები (მაგალითად, თელავი, ზესტაფონი), ან ახლა იწყებს აღორძინებას (თუნდაც - აჭარა, რომელსაც ერთი ჩემპიონიც კი გაუხდა).

აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, ჩემპიონატი ფრიად წარმომადგენლობითი თუ გამოდგა - იმის მიუხედავად, რომ ფინალურ ტურნირის წინ ზონალური შეჯიბრებები უძლოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში (ძიუდო ასე ორ ზონადაა გაყოფილი), უმეტეს წონებში, ჩვეულებრივი 30-32-ის ნაცვლად, 35-39 მონაწილეს კი მოგროვდა.

საბედნიეროდ, რაოდენობა ხარისხშიც გადაიზარდა და მასწავლებელმა, რომელიც აკადემიაში საკმაოდ ბევრი მივიდა (ტრიბუნები ლამის პირთამდე შეივსო), ორივე დღის განმავლობაში, ძალიან ბევრი საინტერესო შეხვედრა იხილა. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რაოდენ ნიჭიერი რეზერვი ეზრდება ქართულ ძიუდოს. ნამდვილად ძნელია ვინმე გამოარჩიო, იმდენი კარგი, ჟინიანი და დახვეწილი მოზარდი გამოჩნდა აკადემიაში და ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი ყიზილაშვილსაც გაუჭირდა ვინმეს გამოყოფა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ამ ნაკრებს თაობათა ცვლის პროცესი შეეხო, თუმცა აკადემიაში ნანახი გვაიმედებს, რომ

ცვლაც ღირსეული მოვა.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: გოგა ჩხაიძე (50 კგ; ბათუმი), ლუკა კაპანაძე (55; მარნეული), არმაზ არჩუაძე (60; გორი), გიორგი ჩხეიძე (66; თბილისი), ლევან ფსულტური (73; გორი), გოჩა ღვაწლიანი (81; ქუთაისი), მიხეილ ბექაური (90; თბილისი) და ალექსი სვიანაძე (+90; ზესტაფონი).

ჯერ - ანაპა, მერე - ევროპა

მარნეულში ჩატარებულ ახალგაზრდა მოკრივეთა საქართველოს ჩემპიონატში გამოიკვეთა ის ბირთვი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის გააგრძელებს მზადებას. ტურნირში ქვეყნის ყველა რეგიონის 100-მდე მოკრივე გამოდიოდა, ჩემპიონები გახდნენ: თბილისელები - სახილ ალახვერდოვი (49), საბისლამ მადიევი (69) და თემურ ქიმაძე (75), გორელები - ელგუჯა მექვაბიშვილი (52), გია თოთლაძე (56) და ილია მწარიაშვილი (81), მარნეულელი ოთარ ნავერიანი (60), ფოთელი ზადრი ზუციშვილი (64), ახალქალაქელი არტომ იორდანიანი (91) და ერედველი ვალიკო ჯემარნიშვილი (+91). ამათგან ალახვერდოვი, მექვაბიშვილი, თოთლაძე, ნავერიანი, ხუციშვილი, მადიევი და იორდანიანი, 14-20 მარტს, ანაპაშიც გამოვლენ საერთაშორისო ტურნირში.

პირველი წყალბურთის პირველი

ქუთაისის საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნაში“ გაიმართა ქალაქის სასკოლო პირველობა წყალბურთში, რომელიც, საბოლოოდ, პირველი საჯარო სკოლის გამარჯვებით დასრულდა. მოსწავლეთა გასახარად, დაჯილდოების ცერემონიაში, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დგვალთან ერთად, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი მისხილ გიორგაძეც მონაწილეობდა. მათ ფინალისტებს თასები და მედლები გადასცეს.

თუმცა, მომავალ წყალბურთელებს ტურნირის მიმდინარეობისას სხვა სიურპრიზიც ელოდათ: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რევაზ რობაქიძემ წაიკითხა დეკლაცია თემაზე: „ქუთაისელი წყალბურთელები ოლიმპიურ თამაშებზე“ და მათთვის „ოლიმპიური ვიქტორინაც“ მოაწყო. მისი გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ირაკლი ლომოურის მიერ შედგენილი საყმანვილო ოლიმპიური ენციკლოპედიით.

გამოსვლილება

გამჭოლი სემიოტიკური კომპეტენცია, კომპიუტური სქემატი, ბლუმის ტექსტონომია და იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“

„ყოველი მეცნიერება ეხება ან საგნებს, ან ნიშნებს... მაგრამ საგნები შეიცნობა მხოლოდ ნიშნებით“

ნეტარი ავგუსტინე

თვითრეალიზებისა და ცხოვრებაში სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის საჭირო უნარების განვითარება საზოგადოების დაკვეთა და თანამედროვე სკოლის დანიშნულებაა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული გამჭოლი კომპეტენციები მოიცავს „იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამოუმუშავებლობა და განვითარება ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებას“ (ესგ. მუხლი 48.1.).

ცხრა გამჭოლი კომპეტენციიდან მნიშვნელოვანია სემიოტიკური კომპეტენცია. მასწავლებლის ნიგნში „გამჭოლი კომპეტენციები“ მკვლევარი ც. ბარბაქაძე განმარტავს: „სემიოტიკა არის საზღვრების მოშლა მეცნიერებებს შორის, მაგრამ ეს არ არის უბრალო საზღვრების მოშლა... ეს არის ურთიერთშერევისა და ურთიერთგაგების პროცესი“ (მასწავლებლის ნიგნი, გამჭოლი კომპეტენციები - „სემიოტიკური ნიგნიერება“, გვ.119).

როგორც მკვლევარი მიიჩნევს, „სემიოტიკური ხედვა შევიძლია შევადაროთ ისეთ სათვალეს, რომელიც მრავალფეროვანია. ეს იმას ჰგავს, ხეს რომ უყურებდეთ ერთდროულად ყველა გვერდიდან, ზემოდან, ფესვებიდან, სხვა ობიექტთან ერთად, უყურებდეთ ამავე დროს ყველა დროში: როცა დაიბადა, როცა გაიზარდა, როცა განვითარდა და ა.შ.“ (იქვე, გვ.122).

ესგ-ის მიხედვით კი, სემიოტიკური კომპეტენცია არის „ვერბალური და არავერბალური, (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატი, მელოდისა და სხვა) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნაზრებისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ. უნარი.“ (ესგ. მუხლი 48.3. „ზ“).

სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარების აუცილებლობიდან გამომდინარე განსაზღვრულია მასწავლებლის როლიც: „მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს“ (ესგ. მუხლი 48.2.).

ეროვნული სასწავლო გეგმის ამ მოთხოვნებთან მჭიდრო კავშირშია ბლუმის ტექსტონომია. მისი კლასიფიკაციის სისტემის ერთ-ერთი სფეროა კოგნიტური (შემეცნებითი) შესაძლებლობები. ბლუმის აზრით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბება. აქვე უნდა აღვნიშნოთ საგაკვეთილო პროცესში „კოგნიტური სქემების“ მნიშვნელობის შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, შეცვალა მოსწავლისა და მასწავლებლის როლი და ფუნქცია.



ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავალ, მინდა ვაღიარო, რომ საკითხით დაინტერესება განაპირობა კონკრეტულმა შემთხვევამ, რომელიც დაკავშირებულია მეხუთე კლასში იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ სწავლებასთან. სხვა უამრავ სიახლესთან ერთად, ამ კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემოდის ვრცელი ტექსტებიც, ერთ-ერთია იაკობ გოგებაშვილის აღნიშნული მოთხრობაც. პირველი თავი - „სამშობლო ღვინისა“ - აღწერილი ტექსტია და ავტორი ასე იწყებს თხრობას: „თბილისიდან რომ აღმოსავლეთისაკენ წახვიდე, მიადგები ერთ დიდ მთასა... ამ ცივის მთაზე რომ ახვიდე და იქით, აღმოსავლეთისაკენ, გადაიხედო... დაინახავ გრძელ ლაპლაპა ზოლსა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვაკლებულს“...


დამეთანხმებით, ამ ასაკში არ არის ადვილი მხარეებში ორიენტირება და ტექსტის კითხვისას შევამჩნიე, მოსწავლეთა თვალემა როგორ გადაინაცვლა ნიგნიდან ადმინისტრაციული რუკისაკენ და დაინყეს ძებნა, როგორ გაივლიდნენ აღწერილ გზას. აღმოჩინეს, რომ მთისუბნიდან ვაშლოვანამდე ორი მი-

მართულებით შეიძლება მოხვედრა: მთისუბანი-გოდერძის უღელტეხილი-ახალციხე-თბილისი-ვაშლოვანი და მთისუბანი-ბათუმი-თბილისი-ვაშლოვანი.

გადავწყვიტეთ, მათი ცდებისათვის ელექტრონული სახე მიგვეცა და ასე შეიქმნა ანიმაცია „ვირტუალური მოგზაურობა“. რადგან კლასში მხოლოდ ორი მოსწავლეა, მოგზაურებს მათი სახელები - ნიკა და გიორგი - დაეარქვით და გავუდევით გზას მთისუბნიდან ვაშლოვანამდე.



მოგვიანებით ანიმაციის შინაარსი გავფართოვეთ და ის კუთხეები და ქალაქებიც ჩავრთეთ, მოგზაურებს რომ უნდა გაეცლით. ამან საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა ინფორმაციები იმ ქალაქების შესახებ, რომლებიც მოგზაურებს უნდა გაეცლით.



გეოგრაფიაში ეს სიმბოლო ლეგენდის სახელითაა ცნობილი. ჩვენ ის გამოვიყენეთ პერსონაჟის სახლ-კარისა და სოფლის მდებარეობის აღწერისას, ამასთანავე დაგვეხმარა მხარეებში ორიენტირებაში.



უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის შეთავაზებული მათემატიკური ამოცანები და გრაფიკები, რომლებშიც ასახულია მთავარი პერსონაჟის ასაკი, დედობილ-მამობილთან გატარებული და უკან დაბრუნების შემდგომი წლები.




Table with 5 columns: მოთხრობის დასაწყისში ქეთო მუსა ნელინადმი, ორი-სამი წლის შემდეგ ქალად იქცა, ვაჟი და სამი-ოთხი წელიწადი ნადი ქეთოს ვაჟებიდან, ორი წლის განმავლობაში ბურაბის ჩამო ჩემო არ ისმოდა, რამდენი წლისაა ქეთო?, and a large question mark.

მოვლენათა შორის კავშირების აღმოჩენის უნარების გამოუმუშავების მიზნით მოსწავლეები მუშაობენ „შედარების დიაგრამებზე“. მათი სოფელი „მთისუბანი“ და სოფელი „ვაშლოვანი“ საქართველოს ორ უკიდურეს წერტილში მდებარეობს. საერთოც ბევრი აღმოაჩინეს.

Table titled 'შედარების დიაგრამა' comparing 'ვაშლოვანი' and 'მთისუბანი' with various characteristics.

იგივე დიაგრამა გამოიყენეს ეპიზოდზე „ლეკები კახეთში“ მუშაობისას, რამაც საშუალება მოგვცა სხვადასხვა კულტურები შევედარებინა და მათ შორის კულტურათა შორის ტოლერანტობაზე გვესაუბრა.

Table titled 'ნაწარმოების შესამე ეპიზოდი: „ლეკები კახეთში“ შედარების დიაგრამა' comparing 'ადრე' and 'ახლა'.

დასკვნა - იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაზე „იავნანამ რა ჰქმნა?!“ მუშაობას ათი გაკვეთილი დაუთმეთ. ტექსტზე მუშაობისას მოგვეცა სხვა საგნებთან - ბუნებასთან, ჩვენს სამშობლოსთან, ხელოვნებასთან და მუსიკასთან - ინტეგრირების საშუალება. მოსწავლეებმა აიმაღლეს ტექსტის კითხვის, ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, შესაბამისად ამაღლდა მათი მოტივაცია და აკადემიური მოსწრების დონე. ახლა ისინი მეექვსე კლასის მოსწავლეები არიან და არა მარტო პროგრამულ ტექსტებზე მუშაობენ, არამედ სკოლის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრებიც არიან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ისინი ამას სიამოვნებით აკეთებენ.

გორჩა გორგოძი პროექტის „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებელი, სსიპ-შერიფ ნიშიაშვილის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მთისუბნის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

- გამოყენებული ლიტერატურა 1) ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“; 2) ესგ. მუხლი 48.2.; 3) გრაფიკული ორგანიზატორები, ანუ კოგნიტური დიაგრამები ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი - პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგის მასალები - 2015წ. გვ.61-73; 4) მასწავლებლის ნიგნი - გამჭოლი კომპეტენციები: ც. ბარბაქაძე - „სემიოტიკური ნიგნიერება“, გვ.127-165.

მასწავლებლის სამუშაო რეჟული



მასწავლებლის სამუშაო რეჟული პროტოკოლი... 4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებითი კლასებში



ნიგნის თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის... 6.50 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო



კათედრის გაგების პორტფოლიო... 6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებული ალფაბეტური ინტერაქტიური სწავლების მეთოდები... 6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



კალენდარი ისა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია... 5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის



ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის... 14 ლარი

Four book covers for 'საბავშვო საბავშვო საბავშვო' series, numbered 1 to 4.

Book cover for 'მოქაფალოთ საბავშვო საბავშვო' with a list of titles and prices.

Book cover for 'ქართული ენა' series, numbered 1 to 6.

Book cover for 'ქართული ენის კრებულები' series, numbered 1 to 6.

Book cover for 'ვეფხისტყაოსანი' with a price tag of 12 ლარი.

Book cover for 'ფიზიკა' with a price tag of 10 ლარი.

Book cover for 'ქართული ენის გრამატიკა' with a price tag of 7 ლარი.

Book cover for 'ქართული ენის გრამატიკა' with a price tag of 8 ლარი.

Book cover for '1 2' series with a price tag of 10 ლარი.

Book cover for 'თავისუფლება' with a price tag of 4 ლარი.

Book cover for 'ბიოლოგია' with a price tag of 10 ლარი.

Book cover for 'ისტორია' with a price tag of 9 ლარი.

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რაქვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“...

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბატაშვილის ძ. №3... რედაქციის საბანკო რაქვიზიტები: შპს „ახალი განათლება“...

ISSN 2233-386X... 9 772233 386008 >